

644
1975/4



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკი

3

1975



დედაო, დაო, საგრფოვ ძვირფასო,
შენი წარსული მწარე წყლულია,
ყოველი ტანჯვა საქართველოსი
შენი ცრემლებით გამორწყულია.

მშვენიერება ტურფა შენებრი
სამშობლოს ედემს არა ჰყოლია,
თავისუფლების ვეფხვთა დედაო,
წინ შენი სახე მათ წასძღვლია.

არვის მისცემენ შენს წმინდა მანდილს,
მგვრიანი ფეხით რომ გადასთელოს;
არ გასწირავენ შენს იავნანას,
კერას, სამშობლოს და საქართველოს!

გიორგი ლეონიძე

ବିଜ୍ଞାନ

214

ବୀଜଗାନ୍ଧୀ ପାତ୍ରଙ୍କାଣ୍ଡିକ ପାତ୍ର

୨୩୦୨୨

୩

ମାର୍ଚ୍ଚି

1975

ଟ ୧୦୧୦୬୦

ଶ୍ରୀ. କା. କୌଣସି ପାତ୍ରଙ୍କାଣ୍ଡିକ ପାତ୍ର

ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ-ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ ଏବଂ ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ-ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ

ପାତ୍ରଙ୍କାଣ୍ଡିକ ପାତ୍ରଙ୍କାଣ୍ଡିକ ପାତ୍ରଙ୍କାଣ୍ଡିକ ପାତ୍ରଙ୍କାଣ୍ଡିକ ପାତ୍ରଙ୍କାଣ୍ଡିକ

ଶ୍ରୀ ମହିମାନାଥ ଶ୍ରୀ. ମହିମାନାଥ
ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ. ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ
ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ. ଶ୍ରୀମତୀ ମହିମାନାଥ

20633610

ପ୍ରକାଶକ, ପ୍ରକାଶକ

გამარჯვების 30 ფელი

- 86.** ბინო თათარიშვილი. გეზისძილი. გავრჩელება.
დასაწყისი, „ცისქარი“ № 7, 1974 წ.

‘ଆମେ ତାଙ୍କାତଳିଗ

- 104.** 3360 ჩეივაპი. უორს 31316500000 გარე სახილი

三〇六〇三〇四〇

110. ଲୋକର ପ୍ରାତିକାରନାଳିଲୁହ. ଶବ୍ଦରେ କିମ୍ବାରେଣ୍ଟି ଦୀର୍ଘ-
ଜୀବ ଅଜ୍ଞାନରେ
 111. ତାଙ୍କର ପେନ୍ଦାର. ଏକିକିମ୍ବାଲ୍ ତାଙ୍କରେ ତାଙ୍କରିଷ୍ଟଙ୍କର-
କୁ ଲୋକରକୁରିବି ସଂଖ୍ୟାବ୍ରଦ୍ଧିତି
 129. ପୋକାଙ୍କ ପୋକାଙ୍କ. କମାଲୁଲୀ ପାପିଶି ପାନ୍ଦଗା-
ନୀରି ଖାଲିକିରିବି ତାଙ୍କରିବାରେ
 135. ପଦରା ତର୍ଫାଲାଳିଲୁହିଲୁହ. ଏକାଟ ପାଲୁକରିଶ ଧନ୍ତି-
ପ୍ରାଚିଶରିଶ ଆପିଶିବା
 138. ପାରାପାର ପାରାପାର. ଯକ୍ତିକିରିବି ଧାରାପାରିଲୁହ କାଳ-
ଟା କାର୍ଯ୍ୟକାରିଲୁହ ଧାରାପାରିବା ଆଶାବିଧ
 142. ପାଲିପାଲ ପାଲିପାଲ. କମ୍ବ ପାଲିପାଲକିରିବି
 150. ପାରାପାର ପାରାପାରିଲୁହ. „ଦୂର ଧାରାପାରିବି“ କାହାକିରି
 158. ପାରାପାର ପାରାପାରିବା

ჭაბუ აშიაჯიში

დათა თუთაშეია

6 თე ან 60

ჭიგნი მიორი

ცალი ნათოვიზრი

— ეგა შე ყველაფერი ჩემი თვალი-
თა ვნახე! შენთვის როგორც უთქვამთ,
ეგრე არ იყო. როგორ იყო და... ჩემზე
ადრე არავის დაუნახია. ჯერ მე დაეი-
ნახე, ბაღებზე გამორბოდნენ. წინ ლა-
მაზ-კოლა მოდიდიდა, უკან მეგრელი
მოსდევდა — ისა, დათა.

ახლა, როგორ დავინახე. ყაზარმები
ზემოლან, გორაქე აგურხანა იღვა,
ეხლაცა დგას. სპარსელისა იყო. მაშინ
იმ სპარსელთან დარაგად ვიყავ, აგურ-
ხანას ვუდექი. ჰოლდე, და ვნახე რომა
გამორბიან. კვირა დღე იყო. დილითვე
თვალი მოკვარი, სალდათმა ყაზარმებ-
თან ორი პატიმარი მიიყვანა, შეშას მი-
უყენა; ხერხავდნენ, აბობლენენ და შექ-
ქონდათ. ბალებში რომ დავინახე, მა-
შინევ მიტხვდი, გამოჩვარვიან და გარ-
ბიან-მეტეი. თოლი მხარშე შექონდა.
იმათვეს მესროლნა — არ ივარგებდა;
რა იცის კაცმა, აქწება ძმები ჰყავთ, ან
ნათესავები... რა ჩემი საქმე იყო, მე
აგურხანას ვუდექი. არ მესროლნა —
არ ივარგებდა, გამაქანებლენ და თავს
შეტეხის ციხეში ამომაყოფინებდნენ —
მიმრბოლავი პატიმრები ნახე, თოფი

გქონდა და არა იღონეო-რათ ავდექი
და ჰაერში გავისროლე. კიდევ გავტენე
და კიდევ გავისროლე: ორი თოფი გა-
ქცევის ნიშანია. ისე გამოვიყვანე, რო-
მა არც მიმრბოლავ პატიმრებს ევსრო-
ლე და არც თავი წავიყრულე. ვახმისტრის
გასაგონად დავცალე — დასდგომოდა
და ედევნა... არც მწვადი დავწვი — და
არც შამუშრი. მაშა!

პირველი დავცალე — იმ სალდათმა
რომელიცა სოვლემდა და ვისაც გამო-
ეპარჩენ — გამოილვიძა და იმანაც ორი
დაცალა. ყაზარმილან ვახმისტრი გა-
მოარჩა. ერთი კი დაიყვირა და კიდევ
სამი სალდათი, მეძალლე და ძალლი გა-
მოციცდნენ. აგრე უცხათა, კაცოლ! ვერ
წაულენ-მეტეი. ამის გაფიქრება მო-
ვასწარი და თავისი ვახმისტრით გამარ-
თული სალდათები უკვე თავეცვეში გა-
რბოდნენ. ძალლმა კვალი კუნძებთანვე
აიღო და მიჰყვა. ისე ძალუმად მიღიო-
და, ლამის თასმა გაეწყვიტა. ერთი სიტ-
ყვით, კვალშე სიჩბილით მისდევდნენ,
მაგრამა სანამ ესენი წყალს მიაღვნენ,
ლამაზ-კოლა და თუთაშხია, ცოტა აკლ-
დათ, შეა მტკვარში იყვნენ.

ვახმისტრი, როგორც მიმრბოდა, არც
გაჩერებულა, წყალში შეტოპა, ლაჭე-
ბამდისინ შევიდა; ჩექმები დაუმშიმდა

და მაშინა ტრიტ ჩილი დაშინული ტერიტორია. მამაცხონებული, რასა ფერობდა, საღამის უნდა ევ-ლო!.. ცოტა ხან იგრე იდგა, მერე ისევ ხმელზე გამოტომა, სალდათებს დაუ-ყვირა, ესროლეთო! სალდათებმა ჩაი-მუხლეს და ერთი ისეთი ბაგამუგი ატე-ხსეს, რომა!..

გაქცეულებმა ჩაყვინთეს. ჩაყვინთეს და ესენიც მოეშვნენ სროლასა. ლამაზ-კოლამ ამოვყინთა, ვახმისტრს გამოს-ძახა, ალარ მესროლოთ, ვპრუნდებიო! ქალაქელ ქურდა რა ჰქუა ესწავლება, რა. სალდათებისენ გამოსჭრა და ალარც ესროლეს.. ისე კი, იმ ლამაზ-კოლას დარჩი ნაკლებათა ჰქონდათ, თვალი წყალზე ეჭირათ, თუთაშიას ეძებდნენ.

ვახმისტრმა ლამაზ-კოლას გასძახა, მეგრელი რაღა იქნაო. ქურდი მიბრუნდა და და დაიყვირა, — დათა!.. გამო, მე მომელავენო!

დათა არსად იყო, ლამაზ-კოლამ ისევ ნაპირისენ გამოსწია, მაგრამა წყალს ქვევით მიჰქონდა და სალდათებიც ნაპირ-ნაპირ წაფრატუნდნენ: ცა-ლი თვალი ლამაზ-კოლაზე ჰქონდათ, თან თუთაშიას გამოჩენას ელოდნენ. ერთი კი გავიჭიქრე, უთუოდ ტყვია მოხვდა და მოკვდა, ან დაიჭრა. და დაიხრჩო-მეოქვი. გინახახას?! ამოვინთა და მერე სადა — გაღმა ნაპირს ალარცერი უკლია ვახმისტრმაც დაინახა, ნაბიჯს უმატა და ისევ დაიძახა, — ეს-როლეთო! ისევ სროლა აუტეხს. ეჭე-ჰე-ჰე, რა ამბავი ატყდა, კაცონა!

მტკვარი ადიდებული მოზიოდა, თუთაშია შორს იყო, ერთიც არ მოხვდა. ისევ ჩაყვინთა და მორჩა!

ამობაში ლამაზ-კოლა წყალს კიდევ ქვევით ჩაეტანა. სალდათები ისევ დაი-ძრნენ, ლამაზ-კოლას დასახვედრად გა-სწიეს. მარტო მეძალე ჩამორჩა — ძოლო ალარ მისდევდა და იმიტომ. მე-ძოლო ქვევით ეწეოდა, ძალის ძალი ზევით კენ იწევდა. ძალის ძალი და ძალი მე-ძალე. მერე მეძალე გაწურა, წიხლი დაუშინა. რაღა იზამდა ძალი, დაპყვა და ძუნდულით წავიდნენ.

ლამაზ-კოლა ფეხზე დადგა, ხელები მაღლა ასწია, გამოტომა. მეერდში კონ-დახი დაკვერცეს, წაქციეს, პირევე დაა-წვინეს. ვახმისტრმა მეძალლეცა და ძალ-ლიც ლამაზ-კოლას დაუყენა, სხვები თან გაიყოლა და ისევ ნაპირს ჩაჰკვენენ.

იმ აგურხანას უჩემოდ რა მოვი-დოდა და სპარსელიც რაღა ეხლა მოვი-დოდა?.. დავადე თავი და ნაპირზე ჩა-ვედი, მეც იმ სალდათებში გავერიე.

„ვირს რომ ზურგი აპქავდება, მე-წილევილეს მიაუგებაო“ — მეც ისე მო-მივიდა, ეხლა ნახე შენა: გაეერიე და სალდათებიც აყაყანდნენ; დათა თუთაშ-ხია, გაღმა ნაპირზე ბეჭობი იყო, იმაზე იდგა ჯიშინი მამალივითა. ლოინგშე-მოყრილი იდგა. მერე უბეში ხელი ჩა-იყო, სვანური ქუდი ეხურა ხოლმე, ის ქუდი ამოილო, გაწურა და დაიხურა. დაიხურა და ცას აპერდა.

ლრუბლიანი იყო, სცრიდა.

გამიკვირდა, რაღას უდგას-მეთქი. სალდათებმა ისევ დაუშინეს. დათა თუთაშია მიტრალდა, შიმალში შევი-ლა. წყნარად, დინჯად მიდიოდა, თით-ქოს, ტყვიას არა და ქოქოლას აყრია-ნო.

წავიდა!

ამათ რაც ვაზნა ჰქონდათ, ერთია-ნად დასწევს და ვერ კი მოარტყეს. წა-ვიდა და წავიდა!

ვახმისტრი მომიტრიალდა, თვალე-ბი გამდმიტეარკლა და დამიყერია, — შე სვოლოჩო, ჰაერში რას ისროდი, ამათთვის გესროლნაო!

ვაშე სკავაროდიე-მეთქი...

ახ, სკავაროდიეო?! — ერთი ისეთი სილა გამაწნა, მე და ჩემმა ღმერთმა, აგურხანაში ვყოფილიყავ, იქ გავიგო-ნებდი. გამაწნა და დააყოლა, — რაზ, სკავარადაო!

ახლა მეორე ლოყაში გამაწნა და დააყოლა, — დვა სკავარადაო!

ხელები სახეზე ავიფარე, იქნება, შე-ვეცოდო და მომეშვას-მეთქი. შევეცო-დე, მაშ, რა იყო — მუცელში წიხლი ჩამცხო, სანამ წყალში ტყაპანს მოვა-

დენდი, — ტრი სკავარადაო, დამაყოლა
და ლამაზ-კოლასკენ გახწია.

აგურხანაში აველ, სამოსლის გა-
შრობას მიყეა ხელი...

ମାଧ୍ୟମ କିନ୍ତୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ჰერუა ვიხმარე, რომა შეტყ აღარ შეიძლებოდა, თორემაა..

როგორც გიამბე, სწორედ ეგრე იყო
ჩემზე უკეთ ეგ ამბავი ორავინ იცის, იქ
ვიყავი.

ପ୍ରକାଶକ ସାହିତ୍ୟ

ვარსკვლავთმეტყველებისა და ას-
ტროლოგიის საიდუმლოებებით გატა-
ცებული არასოდეს ცყოფილვარ. ამ
უქელეს მეცნიერებებს კულტურიშის
თანრიგს ვაკუთხებდი. ალბათ, ასეთი
წინასწარგანწყობის გამოისირბით არის,
რომ ღრმებდე არაფრერი გამეგება მათი.
მიზებდავად ამისა, განსაუზორებით სამ-
სახურიდან გადადგმის შემდეგ, ვარსკ-
ვლავებიანი ცა ჩემი ფიქრების მუდ-
რივ თანამავალი გახდა. როცა მოვლე-
ნები და შთაბეჭილებები მჯგნილენე,
როცა კოთარებაში გაჩვევა და სწორი
დასკენის გამოტანა მიძნელდებოდა, მა-
შინ ლურჯ ცაზე თორმეტ ზოდიაქოდ
დამჭრა სამყაროს აკცერდოდ, იდუ-
მალ ცურუ სიმბოლოებში ადამიანთა ხა-
სიაფებისა და ურთიერთობების ან-
ლოგიებს ვეკებდი. ეს, თოთქს თავშე-
საცევარი და გასართობი, წვრილმა-
ნებში დაფლულ მთავარის პოვნას მია-
დგინებდა, ფიქრთა ნისლიდან მეაფიო
სურათების გამოტანაში შეველოდა.
ღლესაც რომად მწარეს, რომ ვარსკვ-
ლავთა სამყარო მიწვერ საქმეებზე გა-
ცილებით მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე
ჩენ გვეკინა.

ჩემი აგარაკის აივანი, თოტქოს გან-
ზრაა, ისეა განლაგებული, რომ საჩუქ-
რელაში — მოყალათებულს კაბადონის
თვალიკურების. სურავილი უნგბლიერ
გეწვევა. სანამ მე შევიძენდი, აგარაკმა
ორი მფლობელი გამოიცაალა. რამდე-
ნადაც ვიცი, ვერც ისინი სძლევდნენ
ცის ციმციმით ტკბობის მოთხოვნილე-
ბას და ზაფხულის სალამოებს აივანზე,
მყუდრო მარტოობაში ატარებდნენ.
აგარაკის ახლანდელი მფლობელების-
თვისაც მომიკრავს თვალი — დას აპ-

ყურებენ ხოლმე, როცა აივანზე მარტონი არიან.

ათას ცტრას ცტრა წლის მისი თავ-
დებოდა. აიგნენე ვიგევი. ღამის ათ
საათს მიტანებული იყო, მალე საკახშ-
მონ შესვლას გაპირებდა. ეტლის ხმა-
ური გავიგონე. მარტოხელა, სამსახუ-
რიდან გადამდგარი კაცი ვიყავო, სტუ-
მარი შედარებით იშვიათად მყავდა, თუ
სანდრო კარიძეს არ მივლებთ შედევ-
ლობაში, და გამიკვირდა, რომ ეტლი
სწორედ ჩემს ჰიშეართან გაჩერდა. მა-
სური სტუმარს გაეგება და უმაღ მაც-
ნობა, — პოლკოვნიკი მუშინი ზარანდია
ბოდიშს იძლის წინასწარ გაუფრთხი-
ლებლად სტუმრობისთვის.

სალიან გამეხარდა და სრულიად არ
გვეკვირვებია მისი მოსვლა. არ გმ-
კირვებია იმიტომ, რომ მუშინი ზარან-
დია ბუნებით გულწრფელ და კეთი-
ლისმსურველ ადამიანად მიმაჩნდა. კა-
ცის სიკეთეს სამუდამოდ ისახობებდა,
თუ ვინმე მოეწონებოდა, თავის კეთილ-
განწყობილებას გულუბრყვილოდ უმ-
ცულვნებდა. გამეხარდა კი იმიტომ, რომ
ჩემი მაშინდელი მდგომარეობის კაც-
თან მუშინი ზარანდიას მხლობოდ კეთი-
ლი გული. მოიყვანდა, ჩემი იმედიმინდე-
ლი ცხოვერების ავკარგისადმი ინტერე-
სი — სხვა არაფერი.

ბევრი კისაუბრეთ. მუშინი ზარანდია
საინტერესო თანამოსაუბრე იყო ყო-
ველთვის, მაგრამ ახლა, ათას ცხრაას
წელს იგი უკვე ისეთი მუშინი ზარანდია
გახლდათ, როგორსაც, შეიძლება ოქ-
ვას, პირდაღებული ვუსმენდი. ნურვინ
ოთვარებს; თოვლი, ვარამითამართ სა-

მექშს ჩამოშორებულია პროფესიულ ინფორმაციას მოკლებული მოხუცი გენერალი ვიყავი და ამიტომ საშორიბი ვნოქავდი კულა ფერის მელანს. ეს — თავისთავად, და მთავარი კი ის არის. რომ ჩემი სტუმარი ერთდროულად იყო ორი სრულიად სხვადასხვა ბუნების ახალი ამბების კულაბა: მან იცოდა მთელი მსოფლიოს კულა პოლიტიკური ჭორი და კულა სახელმწიფოს სამთავრობო კულუარების მრავალი საიდუმლოება, ერთი მხრივ, ხოლო რუსეთის იმპერიის სამეფო კარის სრული, ყოველდღიური ქრონიკა, მეორე მხრივ, ამაში გასაკების არაშერი იყო — მუშანი ზარანდია საგარეო პოლიტიკურ დაზერებას ხელმძღვანელობდა, მაგრამ ამგვარ თანამოსაფრების ძლიერ იშვიათად მისვარიდა ვინმეს ღმერთი — ეს ხომ ასეა. იმდრინილელ ჰეტერბურგში იყო ერთი იმ შეიდ კავთაგან იყო, ვისაც იმპერატორთან პირადი აუდიენციის უფლება ჰერსონალურად ჰქონდა მინიჭებული. არ ვიცი, რამდენად სარგებლობდა მუშანი ამით, მაგრამ, ცხადია, საჭიროების შემთხვევაში მისი უდიდებულესობის გაღვიძებასაც კი არ მოერიდებოდა. შეენიშნე კიდევ ერთი სინტერესონ რამ. მუშანი ზარანდია დიდი მოწიწებითა და ღრმა ინტერესით ლაპარაკობდა უავგუსტესი ოჯახის კულა ჭევრზე, მათ ცხოვრებაზე და ნათევამის ინტონაციაში მონის თაყვანისცემა იგრძნობოდა. აღვილი შესაძლებელია, რომ სამეფო კარის მიმართ ამდღნად მლიქვნელური დამოკიდებულების ფორმა ჩემი გადაღვიმის შემდეგ დამყვიდრდა და უმაღლესი თანამდებობის პირებს სხვა გზა არ ჰქონდათ — უნდა მიეღოთ და აღდეს რულებრივა იყი, მაგრამ მუშანი ზარანდია ამას სიამოვნებით სჩაღიოდა და არა მოვალეობის გამო თუ იძულებით. მე ეს მოვლენა მისი ხსიათის არსებით ცვლილებად მივიჩნიო. არანაკლებ გასაოცარი იყო ჩემთვის ისიც, რომ სახელმწიფო აპარატის საშუალო რანგის მოხელეთა შორის გავრცელებული ერთი თვისება

მუშანი ზარანდისაც უქსშენოდა. ლუკა რავა იმაზე, რომ სამასახურებრივ ჭარინაურებას მოწყურებული ადამიანები უღრმეს ინტერესს იჩენენ ყოველგვარი გადაადგილებების, დაქვეთებებისა თუ დაწინაურებების, ან ასეთი მოსალოდნელობების მიმართ. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ როგორ ფორმებში მიღეავნებს ამს, ვინ და როგორ ნიღბავს თავის დამკუიდებულებას. მთავარია, რომ ასეთი ცნობების, ჭორებისა თუ შესაძლებლობების გარამუშავება უკიდურესი აზარტით, გაცხოველებული ცნობის მიყვარულობით, სულის აფონინგით ხდება. ჩემთან სამსახურის პერიოდში მუშანი ზარანდისათვის თანამდებობრივი ცხოვრების ეს მხარე არ არსებობდა, მას ამისთვის არასოდეს ეცალა. ახლა, კუსმენდი მას და ენდავდი, როგორ ჩაკყოლოდა. იმ ჩამორევ ძალას, რომელიც მისი ინტერესების ჩარჩოებს მიღმა მოქმედებდა. პირადად მის სამსახურებრივ მდგრმარეობაზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენდა და არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ იმ კორ-ამბავის ცოდნა მუშანი ზარანდის პროფესიულად სტირებობდა. მომენტენა, რომ მამამისის — მაგალი ზარანდის წინასწარმეტყველება: — უმაღლეს თანამდებობაზე კეთილი განჩრდას ხედებით გასული ბევრია და სიკეთე შენარჩუნებული არავინ — მუშანი ზარანდის შემთხვევაში გამართლდა. იგი უკვე მკაფიოდ გამოხატული კარისკაცი იყო.

ჩენი საუბარი, თითქმის მიწურა, როცა გაბეჭდე და თბილისში ჩამოსალის ნამდვილი მიზეზი ვყითხე. განმარტების ბურუსში დათა თუთაშხიას სახელმა გაიერვა, მაგრამ ჩემთვის ესაც საემარისი იყო, რომ მეგრძნო — დათა თუთაშხიას საქმეს ზარანდისათვის საღვეოსალდაც არ დაუკარგავს მნიშვნელოვნობა. და აქ გამახსენდა, ერთხელ სანდრო კარიძემ გაკვრით, ცალი ყბით მითხა, — დათა თუთაშხია ცოხიდან გაქცევის შემდეგ ცოტ-ცოტა პოლიტიკაშიც ერევო. გამიერვა, რომ ამა-

ვეან ცნობის მუშინი ზარანლიბა, მაღალი თანამდებობით გამოწვეული სულიერი ცვლილებების შემდეგ, გულგრილად კერ შეხვებოდა. ჩემი მიხვეულის დამალვას არ ვცდილვარ. პირიქით, ამ აქცენტს გაფასე ხაზი და გამოვთქვი გაკვირვება, იმით, რომ ზარანლის საგანგებოდ მოუკლია თუთაშების საქმის თვის და აჭვიც, თუ რამდენად გამართლებული იყო დათა თუთაშების ესოდენ დაქინებული დევნა და ისიც საკუთარი ბიძაშვილის მხრიცა.

მუსაიფი გვიან ღამემდე გაგვიგრძელდა, ზარანლია ჩემთან დარჩა. უკვე დაწოლის წინ იყო, მითხრა:

— ნება მიბოძეთ, თქვენი ბრწყინვალება, მიტოვებულ თემს დავუბრუნდები. ჩემი პროფესიული და სამსახურებრივი რეპუტაცია კერ შეირყევა და კერც განმტკიცდება იმით, თუ სახელმობრ ვინ დაიკერს დათა თუთაშების და დაიჭირენ თუ არა მას საერთოდ. მაშასადამე, ჩემი მხრივ კარიერისტული განზრახვები მოსალონები არ არის.

— სწორი ბრძანებაა! — რისთვის განაახლა ეს ლაპარაკი?

— თქვენ მაინც ხომ მოგეხსენებათ, გრაფ, რომ ჩემთვის მთავარია გონივრულად წარიმართოს ესა თუ ის საქმე და პარაგათარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ წარმატების შემთხვევაში დაწით თავს, ვინ დაიმშვენება.

— რამდენიმე რაღდენი ვიცი სხვათა შეერდები, რომელიც შენ გეკუთხოდა, მუშინ... — მაგრამ დათა თუთაშების დატერა-დაუჭერლობაზე რატომ ამას-გილებს ყურადღებას?

— მაშასადამე, თუთაშების წინააღმდეგ ჩემი რამე მოქმედება არც თავმყვარეობასა თუ პატივმოყვარეობას შეუძლია გამოიწვიოს. რჩება საღისტური მიღრეკილებები, რაც, ვიმედოვნებ, ჩემს ხასიათში არასოდეს შეგინიშვავთ. ზარანლიამ რეაგირება დამაცადა.

გავიცინ, მაშინ პოლკონიკიმა მსჯლობა განაგრძო:

— თქვენი ბრწყინვალებავ, ამ საქ-

მეს-სხვა, გაცილებით ზოგადი და ამაღლებული ასცემტიც გააჩნია. თქვენ ეს, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ. უნდა გვიმეორო.

— ბრძანეთ. ძალიან საინტერესოა! — რაღაცის მიჩრებალვა სურდა.

— მე იმ პრინციპით ვხელმძღვანელობ, რომ ნამდვილმა ოდამიანმა ბოროტებას არა მარტო უნდა სძლიოს, არამედ სიეთედ უნდა აქციოს იგი!

— რა თქმა უნდა, მუშინი, თუკი ამის შესაძლებლობა გამოჩინდება! — ცხადი და ნათელი იყო, რომ მან დათა თუთაშების უკვე დაუგო რაღაც ჭოჭოხეთური ხაფანგები!

როგორც ერთხელ, ოთხის-უთო წლის წინ, ისევ მომეჩენა, რომ მუშინი ზარანლია სავარელში გორგალივით იზო და ყელი ჰქონდა მოღერებული.

დიახ, ხაფანგები, მაგრამ, სახელდობრ, რა ხაფანგები?.. აქ მესისირებამ მოულოდნელად მომაწოდა ერთი დეტალი, რომელიც, იღარც კი მახსოვდა, სად ან ვისგან მქონდა გაგონილი: ბეჟუნი ცერტიამ — დათა თუთაშების ახალგაზრდობის საუვარელმა, თავის შეიძლს, სახელად გუდუს, პატარობაშიავ დაუქმირავ რუსულის მასწავლებელი, ვინმე ბიქტორ სამუშაია, რომელიც შემდგომში ბიჭს ლათინურსაც ასწავლიდა. ამ ბიქტორ სამუშაიზე მითხრეს,

— პოლკონიკიმა კნიაზეემა მუშინი ზარანლიას დავალებით გადმოიბირაო. დათა თუთაშების ხელში ჩაგდების მიზნით სხვადასხვა დროს გადმობირებულთა რაოდენობის აღნუსხვას საგანგებო ბუღალტერი ესაჭიროებოდა, ხოლო მიღებული შედეგი ნულს უდრიდა და ამ ცნობას ჩემშე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენაა. მიუხედავად ამინა, მომდევნო შესაძლებლობისთანავე

— წინასწარი განზრახვით კი არა, სრულიად უნდღიუდ — ამ ცნობის შევსება-დაზუსტება მოვინდომე და კადევ ზოგი რამ გავიგე: გულუსთვის

პაზარ აპილივიზი

დათა თუთაშების

ტოლ ბიჭებს რამდენჯერმე უთქვამთ, — ნაბიჭებარი ხარო, დათა თუთაშხიას ბუში ხარო! გუდუ მაშინ უკვე თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი იყო, თავისი ხასიათი ჰქონდა — უსიტყველი, გულჩათხობილი და, ჩანს, დედისთვის არაფერო უკითხავს, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ განმარტებისთვის თავისი მასწავლებლის, ბექტურ სამუშავისთვის მოუმართავს. მასწავლებელს ასე აუხსნას: დათა თუთაშხია დაუნდობელი ყაჩაღი და შევლელია. დედაშენი უყვარს, თქვენთან მოდის ხოლმე და დედაშენს, მიუხედავად იმისა, რომ სტულს იგი, მის სტუმრობებზე შეშით ვერაფერი უთქვამს. ნაძირალა თუთაშხია მით სარგებლობს, თქვენთან დადის, და დედაშენსაც და შენც სახელს გიტეხავთო. დიდი შთაბეჭილება ჩემზე არც ამ ტექსტს მოუხდენია. რა შეიძლებოდა მოპყოლოდა ამას? მეტი-მეტი ის, რომ დათა თუთაშხიას მისვლას გუდუ ბერტია რაიმე საშუალებით პოლიციას შეატყობინებდა. ეს იყო და ეს. ასეთი შეტყობინებებით პოლიციელისტებს ყურები ჰქონდათ გამოჭედილი, მაგრამ რა?..

არც მაშინ მწევევია სურვილი, გამეგონ და არც ახლა გამაჩინია იმის გაანალიზების უნარი, თუ ქარიშხალივით რატომ შემომაწყდა მუშან ზარანდიას, მაშინ ჯერ კიდევ ჩემთვის უცნობი, გეგმების ჩაშლის დაუკეტებელი წყურვილი. მასხავს, გუნებაში ხელებიც კი გადავითვნილე და გავითვერე: — ჩემი გამოზრდილი ლევევი ხარ, მევე მოგივლი-მეთქი, ბატონო სატანავ!.. ეს უკვე გადაწყვეტილება იყო და გადაწყვეტილებასთან ერთად, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე, ახლაც უკიდურესი სიფრთხილის გრძნობა ამიმუშავდა: არ შეიძლებოდა, ზარანდიასთვის, თუნდ სრულად უნიშვნელო, ეჭვის საბაბის მიცემა! მეორე მხრივ, ხელთ ისეთი არაფერი მეონდა, საიდანაც მოქმედების დაწყება შემეძლო. მეტი ინფორმაცია მესაჭიროებოდა, მაგრამ კითხვების მიცემა გამორიც-

ხული იყო — ზარანდია განზრახვებას აღვილად მიმიხვდებოდა. მრჩებოდა მხოლოდ ის, რომ იქნებ თვით სტუმარს ეთქვა ჩემთვის საგულისყურო რამ. საუბრის ეს ეტაპი თემის შეცვლას მოითხოვდა და გვითხე:

— ვაზინის თუ იცნობთ, მუშანი, ალექსეი ვაქტოროვიჩის? ხომ არსად შეგვედრიათ, ან ასეთი გვარისთვის ხომ არ მოვიკრავთ თვალი? ამჟამად კა თრამოცდათი წლის კაცი უნდა იყოს, ორმოცდათომეტისა.

— ვაზინი?.. ვე, ვიაზინი! — ზარანდია დაფიქრდა და მკითხა: — ვინ არის ეს ვიაზინი?

— ჩემი ერთადერთი დის შვილია. მამა ბავშვობაშივე გარდაცვალა; დედა — გიმაზიის უკანასკნელ კლასში ყოფილისა. მაშინ პარიზში ვცხოვრიბდი. გავიწვიე და უმაღლესი განათლება იქ მიიღო. ზოლოვგი გაბლავთ. კერძოდ, ორნიტოლოგი. — მუშან ზარანდიასთვის ის არ მითქვამს, რომ ვიაზინი ოცავერთი წლის ასკილან ჩენენი სამსახურის საიდუმლო აგნენტი იყო. — ერთობ ცნობილი ორნიტოლოგი გახტავთ. თვის ტროზე მთელი ევროპის მუშეუმებეს აწვდიდა სხვადასხვა კონტინენტებზე მოპყებული ფრინველების ფიოტულებს. ხუთი წელიწადა მისი აღარაფერი ვიცი. უფრო ახლობელი ნათესავი სხვა აღიავინ მყავს.

— არა, უავ, ევეთი არავინ შემსვედრია... — ზარანდიამ როიალს შეხედა და მკითხა: — ეს როიალი პალისანდრის ხისაა?

როიალი პალისანდრისა არ იყო და იმწამსვე მიგხვდი, რომ ჯერ ერთი, ჩემი დისტული ისევ საიდუმლო სამსახურშია და მეორე ის, რომ ამჟამად იგი არგენტინაში ან ბრაზილიაშია — პალისანდრის ხე მხოლოდ იქ იზრდება. არა-მეთქი, ხელი გავიქნიე და ახლა, როგორ მეკითხა, — ხომ არ დაცოლშვილდა ამ ხუთი წლის მანძილზე-მეთქი?..

— შარშან, გრაფ... ამას წინათ ენისეიზე მომიხდა ყოფნა. გრანდიოზულია,

საოცრებაა, და, წარმოიღინეთ, იმ უძლიერეს აღგალებში ას კვალრატულ კერძებ ერთი მოსახლე მოდის!

— ამა! დამიზუსტა, ამეამად ბრაზილიაში — დიდი მდინარის ქვეყანაში ჭერაც მარტოხელაა — ერთი მოსახლეო, და ეს ცნობები ახალია, — შარშან კი არა, ამას წინათაო! დღემდე არ მესმის, რა პროფესიულმა, თანამდებობრივა ან სხვა რამ სპეციფიურმა პირობებმა გამოუმუშავეს, და ამასთან ესოდენ მოკლე ხანში, ლაპარაკის ზემომოყვანილი მეთოდი, საერთოდ რაში სკირდებოდა იგი და კერძოდ, ჩემთან ურთიერთობაში, მაგრამ ფაქტია, რომ ასე ლაპარაკობდა. უწინ თუ იგი, ჩემთანაც კი, ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რის თქმაც საქმისთვის იყო საჭირო (რა არა, ვთქვათ, იმას, რისი თქმაც შეიძლებოდა, ან, მით უმეტეს — რის თქმითაც დაშავდებოდა), ახლა ლაპარაკობზა ბევრს, დაუზარებლად, თითქოს კველაფერს და, ამასთან ერთად არაფერს ლაპარაკობდა — რა თქმა უნდა, პროფესიის ნიუანსებში ღრმად ჩაუხდავი მსმენელის გულისყურისთვის არაფერს. სხვა სიტყვებით: ის, რისი თქმაც მას სურდა, ნათქვამის ქვერექტში უნდა მეტებნა.

— ვიაზინზე საუბარი ამოიწურა. ვატყობილი, ზარანდისა საღერლელი ჰქონდა აშლილი, რაღაცის თქმა სწყუროდა და ეს სალაპარაკო დათა თუთაშიას სფეროს განეკუთვნებოდა. ქვეცნობიერება ასე მკარნახობდა და არც მოვტყუებულვარ. მე მისთვის საშუალება უნდა მიმეცა, სასურველ თემას მიახლოებოდა...

— როგორ გონია, მუშანი, ეგ თანამდებობა უმაღლესია შენთვის თუ უზრუნდები სიმაღლეების პერსპექტივაც გაქვს? — ვკითხე და კიდევ ერთხელ გამიელვა, რომ ამ კაცს, ერთობ ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ხან „თქვენობით“ მივმართავდი, ხან „შენობით“ და ამ მოვლენის არც კრიტერიუმისა გამეგებოდა რამე და არც მიზეზისა.

ზარანდია პატარა ხანსაჩუმაღ იყო, ფიქრობდა და მერე მითხრა:

— ჩემი იმპერიის პირობებში, ჩემი წარმომობისა და ეროვნების კაცითვის, თანამდებობა, რომელიც მიჰილავს — უმაღლესია. მიუხედავად ამისა, ეხლაც დარწმუნებული ვარ; რომ შრომა და ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ყველა დამტკოლებას გადალახავდა... სიმართლეს გეტყვით, ასც ვაპირებდი...

სტუმარი დადუმდა.

— გადაითვირე?..

— ამას წინათ, გრაფ, შუვალოვების დიდი გვარის საძვალე ვნახე, — მითხრა ზარანდიამ პატარა ხნის ფიქრის შემდეგ — გადათელილი, უპატრონონ სამარები. სევდიანი სანახაობაა... აა, თუნდაც... სტეპან ივანოვის შეშეოვსკისთანა დიდოსტატი, მისი პროფესიული ტალანტის მეორე მოლვაშე რუსეთის იმპერიაში ბოლო სამასი წლის მანძილზე გეგულებათ ვინმე? იგი სიცოცხლეშივე სტულდა ყველას და არც სიკვდილის შემდეგ მოჰკლებათ აუგადეს მისი საფლავიც კი აღარ არსებობს, ყველა დაივიწყა და თუ როდისმე ახსენებდნა — მხოლოდ, როგორც ვერაგობის უმაღლესიობასა და სატანას. მე ვერასოდეს შევძლებდი ტახტისთვის იმდენი სამსახურის გაწევას, რამდენიც შეშეოვსკიმ შესძლო... ჩვენს შემდეგ, თქვენონ ბრწყინვალებავ, ისეთი არაფერი რჩება, რაც მომავალთაბებს მაგალითად გამოადგებოდეს.

— ჩვენ შემდეგ, ბატონონ ზარანდია, პირუთვნები სამსახური და სახელმწიფო, ანუ უმაღლესი სიკეთე რჩება! სახელის უკვდავება კი გმირის ხევდრია...

— და არა მისი, ვინც გმირის სახელს ქმნის! არა? — სიტყვა ჩამომართვა ზარანდიამ.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ თვით ქრისტესგანაც კი არაფერი დარჩებოდა, თუდას იგი



ოცდათ ვერცხლად რომ არ გაეყიდა. ქრისტეს ტრაგიულმ, მნიშვნელოვან-მა აღსასრულმა მის უკვდავებას და აღარებას უდიდესი სამსახური გაუ-წია. ის აღსასრული იუდას შეგნებული საქციელი იყო — წინასწარ განზრახული საჭირო შედეგის მისაღებად აღ-სრულებული საქმე. მე ეს მტკიცედ ვა-რწმუნო.

— შეშეოსკის, როგორც ჩანს, ეგ მტკიცე ჩრდენა არ გააჩნდა, თორემ პუ-განივა და რადიშჩევს ჯერ ოცდათ ვერცხლად გაჰყიდდა და მერელა გმოი-ძებდა მათ საქმებს! — დღესაც არ ვიცი, შევძელი თუ არა აღშფოთება და-მემალა.

ზუშინ ზარანდიამ შშეიდად შემო-მხედა და ისე გადაიტანა საუბარი სხვა თემზე, როგორც ამას მხოლოდ ფანა-ტიკისი გააქეთებდა.

შეორე დღეს, გავისტუმრე თუ არა ზარანდია, მსახური შიომღვიმში სანდ-რო კარიძესთან ვაფრინე. დაუყოვნებ-ლივ მოვიდა. ერთად შევუდექით იმის მოფიქრებას, თუ რა ზომები უნდა მი-გვეღო, უპირველეს ყოვლისა, დათა თუთაშების გასაფრთხილებლად და მე-რე ზარანდის გეგმის გასახებად და ჩა-საშლელად. ამ საუბარში აღმოვაჩინე, რომ მუშინ ზარანდიამ ჩვენთან განკებ, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზნით თქვა ის, რაც თქვა, ან სხვაგვარად რო-გორ უნდა მეფიქრა, როცა ჩემი დისტუ-

ლის ამბავი და აღგილსამყოფელი ვა-ლისანდრებით, ენისეებით, ას კვადრა-ტულ ვერსზე ერთადერთი მცხოვრე-ბით მაცნობა და დათა თუთაშების „ბო-როტი“ საქმეების „სასკეთედ“ ქცევის განზრახვა კი პირდაპირ მომახსენა. რა იყო ეს — გამოწვევა, შებმის სურვი-ლი? ვთქვათ, მე ღირსეულთა რიცხვე-დან, ერთადერთი კაცი ვიყავი ვისი ჯობნა და დამარტება მან ან კერასო-დეს შესძლო, ან არასოდეს მოინდომა და ახლა, თავისი უთვალავი გამარჯვე-ბების რუკაზე ამ თეთრი ლაქის შეეს-ბის ჭია შეუჩნდა? ვთქვათ-მეოთქი, მაგ-რამ საიდან უნდა სცოლნოდა, რომ მე დათა თუთაშების გადარჩენის სურვილი აღმეტვებოდა და გამოწვევას მიეკ-ლებდი?

ხანგრძლივი თათბირისა და განსჯის შემდეგ გადაეწყვიტეთ, რომ სანდრო კარიძე დათა თუთაშების სანახავად და-სავლეთ საქართველოში გადაიღოდა და აცნობებდა, რომ ახალი საშიშროე-ბა მოელის, მაგრამ მუშინ ზარანდია არ უნდა ხსნებულიყო, ცნობა ჩემი სახე-ლით იქნებოდა მიწოდებული. მე კი თბილისში ზარანდიას განზრახვებში უნდა ჩამეხედა.

ეს იყო ჩემი პირველი სერიოზული ნაბიჯი, საყუთარი სურვილით გაეტე-ბული საქმე იმის წინააღმდეგ, რასაც მოელი სიცოცხლის მანძილზე წარმო-ვადგენდი.

ვასო გოლერძიშვილი

— მეგონა რომელია! ძობა იმის კა-ცი არ იყო ეთქვა და არ გაექეთებინა. განა ერთხელ და ორგერ უთქვამს, სა-ცა შემხედება — იქ მოვალავო! ნა-სწავლი კაცის ნახვა და თავისი დაობ-ლების მოგონება — ერთი იყო. ჯერ იმას მიამბობდა ხოლმე ყაჩაღებმა ოჯა-ხი. როგორ დაურბიეს. მერე იმს იტყო-და, ეს ამბავი არ დაგვმართოდა, მაგა-ნები ქუთაისში გაზავნას მიპირებდა, გიმნაზიაში უნდა მესწავლა, ეხლა ნამ-დვილი მხატვარი ვიქნებოდი. ხატვა

ძალიან უყვარდა. ეხერხებოდა კიდეც, ჩემზე უკეთ ეხერხებოდა. ეხლა მხატ-ვარი ვიქნებოდი, ამას იტყოდა, ცოტა ხნით გაინაპებოდა, თვალებში სისტემა მოაწვებოდა და ბოლმით ჩაილაპარა-კებდა ხოლმე:

— ტყის კაცი, სად უნდა ვნახო!... — ამის თქმაშე კმილების დაკრაჭუნება იცოდა.

განა არ გამეგებოდა ვისა გულისხ-მობდა, მაგრამ მაინც ვეკითხებოდა:

— ვისა, კაცო?!

— რამდენჯერა მაქვს ნათქვამი...
ერთი გასული კაცია — დათა თუთაშ-
ხია.

თურქე ის თუთაშხას ძობას მამის
დუქანში იმ აბავის შესტრებია და ხელი
დაუბანია, არავისი არა ვიცი-ჩაო. ძო-
ბასთვის ყური დაგვდო, თუთაშხას
მაშინ ორი სიტყვა ეთქვა, ყაჩალები და-
შოშინდებოდნენ და არაფერიც არ მო-
ხდებოდა, არა, თუთაშხას სახელი
დიზა ჰქონდა დავარწნილი, მაგრამ იქ
როგორ იყო და როგორ არ იყო — ამი-
სი რა გთხოს. ერთი სიტყვით, ძობა
თავისი მამისა და დის სკველილში
ბრალს უფრო თუთაშხას სტებდა, ვი-
დრე იმ ყაჩალებს. ესცე არაფერი, თა-
ვად მხატვარი აღარ გამოვიდა და ამა-
საც თუთაშხას აბრალებდა. ძობას გუ-
ლის ჭავრი ეს უფრო იყო. სულ იმის
ნატერა ჰქონდა, ნეტავი სადმე შემა-
ხვედრა და მე ვიცოდე და იმანაო! თი-
თქოს ჰქონათმყოფელი კაცი იყო და —
მხატვარი არ ვამოვებით, გიურვითა
ჰქონდა აჩემებული.

შენ ამბობ, ძობა რახან გამდგარი
კაცი იყო, მცველობას არ იცისრებ-
დათ. მაშ, კოლა ქათამაძე თუ გამდგა-
რი ქურტი იყო და არავისთონ საჭმეს არ
ქვერდა — რა, დიაკვნად დაზღა თუ მე-
არნეობა დაწყო! ყოველნაირ საჭმეს
ეწეოდა, დაგავიწყდა?.. არა, რა მალ-
შალე გეკიათხები, დაგავიწყდა-მეთქი?
სხვა რა გახსოვს, რომ ეს გახსოვდეს...
ესეც იქნი იყოს, ძობასთან ჯიბრიანი
და თვისინათქვამი ქვეყანაზე მეორე
ალარ შემზედრია... ბაქოში ეკატარინ-
ები მოვქერით და იმ საქმეზე დავვი-
შირეს. ძობა პირველი ლილანვე მოს-
დგა, სულ ის იძახა, მე მარტო სალება-
ვები ვიშოვნე, შეგაზავე, დავბეჭდე და
სხვა არაფერი მიქნია, ბრალი არაფერში
მიდევს, უნდა გამიშვათო. არა, მეტი
რათა უნდა გაეკეთებინა, ყალბი ფუ-
ლის მოკრა სხვაც კიდევ რამეა?.. მანი-
უესტმა გვიშველა, თორება...

მერე და, მე შენ გეტყვი, ხელი
აუკრძალდებოდა. ძობას, თავის ღრო-
ზე, კაცის მოკვლაში და ბატქინის დაკვ-

ପାଠ୍ୟଶବ୍ଦ ନିରକ୍ଷଣକାରୀ
ଏତେ ପାଠ୍ୟକାରୀ

და: „ბავშვისა ჰქითხეს, რა გატირებსო? გამიღის და ვრიძირო“.

ეს ყველაფერი იქნა იყოს. რომელი წელი იყო, ესლა საიდანლა მეხსომება... ა, საქულა-მშედელია რიყეში ორი დუქანი რომ გააღო? — ორთავე ერთ გაყილებაზე. არ მასხველო?

მოიცა, ერთ რამეს გეტუყვი — მოვა-გონდება. დუქნები ერთმანეთზე, ესე, ას, ასოც ნაბიჯზე იქნებოდა. საქულამ აპრები კედელზე კი არ აკვრევინა — ქვაფენილის გარდი-გარდმო გადმოა-შვერინა. აპრაზე ერთი მხრიდან ეწე-რა: „კუზნეც-საქულ ზღვეეს? ? ?“ მე-ორედან — „ზღვეს!!!“. სიტყვაზე, მუხ-რანის ხიდის მხრიდან მოღიხარ; პირ-ველი დუქნის აპრაზე წაიკითხავ: „კუზ-ნეც-საქულ ზღვეეს? ? ?“ გაივლი და მეორე დუქნის თავზე — „ზღვეს!!!“. გინდა მეტების მხრიდან წაიმოსულიყა-ვი, მანც ისევ ისე წაიკითხავდი. არ გაგონდება?.. აბა, რა ვწნა!

ყური მიგდე. მეტებისქენ რომელიც დუქანი იყო, იმაში ქვრივი გოგო მუშ-ობდა, მხარეულს ეხმარებოდა. მართს ეძახდნენ. ეეჭ, ეშხიანი, ლამაზი ქვრი-ვი იყო!.. იმ მართს კვარალდი და სა-ლამონბით, თუ ამფსონებს არსად გა-დავკებოდი, ერთთავად იმ დუქნში ვიზექი. მე იქ დროს გატარებდი და ძობა საღლა ჭანდაბას იქნებოდა, გა-დაბმული ძმაკაცები ვიყავით. არა, ხე-ლობასაც ერთს მივდევდით — ვმხატვ-რობდით. სამხატვრი საქმე არ იშოვნე-ბოდა — ვკალატონბდით. ერთხელაც, გაზაფხული დგას, მე და ძობა იმ დუ-ქნში ვსხედვართ. საღლამხანია. მგონი, რომ ცხრასსვიდი, ან ცხრასარვა წელი იყო. ვსვამთ, პურსა ვჭამთ, დროს ვატა-რებთ. მეღულუკები უკავენ, ცოლავა მღერის. მაგარი მომღერალი იყო: იმის სიმღერისთვის საიდან რა ხალხი არ მო-დიოდა... იმის ვამბობდი, ბლომა მუშტა-რია, ერთი მაგიდალაც ცარიელი, ჩვენს ვეერდზე რომელიც დგას — ისა. კა-რებში შეატანისაზე მაღალი კაცი გა-მოჩნდა. კარგა რიგიანად ეცვა. იზგა, იჭარობას ათვალიერებდა, მერე გა-

მოსწია და ამ ერთ თავისუფლად შეგვ-დას მიუჯდა. შევხედე და ვიცანი: სანამ შემოვიდოდა დუქნის გასწვრივ — რამ-დენგერმე იძრ-ჩაიარა, თვალი მაშინ მოვეარი და ჭამხასომდა. აქეთ მოვისე-დე — ძობა იმ კაცს ისეთნაირად შეს-ცერების, მაშინვე ტანმა მიგრძნო, რამე დავიდარაბა უნდა ატეხილიყო. ამ დროს იმ კაცაც გამოხედდა, ძობას შეეყარა. ისე მომენტენა, რომ შეკრთა, მაგრამ ბევრი არაფერი შესტყობის და რაც შე-ეტყო, იმასაც მალე მოერთა. ეგ იყო და ეგა, სხვაში არაფერში გაყიდულა. მე-რე სხვაგან გაიხედა, კიდევ სხვაგან გა-იხედა და მასხურს ხელი დაუქნია, მო-დი, მომხედეო.

— რას მიაცილდი, მაგისი გალიბან-დი მოვეწონა თუ ჩიხის თარგი?! —

ძობამ ჩანგალი აიღო, ხელში ატ-რიალებს, ფიქრობს, თან თვისისთვის რაღაცას ლაპარაკობს, მაგრამ ვერ მე-ყურება.

— რასა ბუტბუტებ, კაცო, გამაგე-ბინე, რაღა! — გუმანით უკვე ვიწო-დი, რაღაცნაირად იყო საქმე.

ძობამ იმ კაცს კიდევ ერთხელ გა-დახედა და მითხრა:

— ის არის!

— ვინ ისა?

ჩურჩულითა თქვა:

— დათა თუთმშია.. კარგა კი ვე-ლარა ვცნობ, მაგრამ ჩემმა მშემ, ის არის!

ერთხელ სიზმარი ვნახე, ვითომ თავ-ზე ათუხუხუხული სამოვარი დამაც-ლეს. გაფუტქეული ვარასავითა ვარ, მდუღარე წყალი კისერში, გულმერდ-ში წურწურით ჩამდის და ვერეთ ვა-ნძრეულვარ — სწორედ ისეთი რამე დამემართა. ეხლა რათა: რათა და, რო-ცა ამენით წელიწადი ძველბიჭობაზე და მამაძალლობაზე ხელი ვაქვა აღებუ-ლი, ლუებაცურს ხელობითა მოულობ, ცხოვრებას როგორლაც მიათრევ და უცბად ციხის სიმყრალე ცხვირში ვე-ცემა — უეჭველია, ფინთად გახდება! ჩემგან ძობას ლალატი არ იქნებოდა; ამდენი წლის ძმაცობას სანაგვეზე

ვერ გადავიდებდი, ყველაფერში მხარე უნდა ძმება. ეს შემოსული კაცი თუ მართლა თუთაშია იყო, ძმა არ დაიშლიდა — ან ერთი მოკვდებოდა, ან მეორე... ყურებში ბორკილის უღარუნი გამიღის, თან იმასა ვფიქრობ, რა ვქნად როგორ მოვიქცე, რომ ეს შარი ძმასაც აცდეს და მეცა-მეთქი.

— სულ იმას აბობდი, გინდა მოხარშული მაჩვენონ, მაინც ვიცნობო...

— ეგრე მეგონა... რამდენი ხანი გავიდა! მიმავიწყდა... კაცო, პატარა ბიჭი ვიყავი. ვაჲ, ის არის თუ არა?!.. ის არის — რა!

— რაც შენ ჩემთვის გიამბნია — ეს ის კაცი არ უნდა იყოს. ერთი ნახე, ალმეანგის ნოქარსა ჰვავს! — ესე ვთქვი, მაგრამ ერთი მე ვიყავი მირზევების პრიეტშიურ და მეორე ის — ალმანგის ნოქარი.

— დათა თუთაშია ცხენის და მაუზერის კაცია... მა ქალაქურ სამიერონში რა საქმე უნდა ჰქონდეს?!.. ნახე, თვით ანაირად უჭირავს, მართლა ქალაქელი გეგონება. არა და ის არის!.. მოიცა, შენ ეს კაცი ან აქ, ან სხვაგან — საღმე, გინახავს?

კინაღმ ვთქვი მინახავს რომელია, ბაზრის ძალისით ერთოთავად აქა გდია-მეთქი!

— არ მინახავს.

ძმა აღვა, სიკა-მიყიტანთან მივიდა, დაბრუნდა და მითხრა:

— ამბობს, ამ დუქანში მაგისი შემოსვლა ეს პირველიაო.

უნდა გვიხარ ანაირი გაფაციცებული იყო ძმა. მინადირე არა ვარ, არც ძალებისა გამეგება. რამე, მაგრამ კვალზე დამდგარა მექებარი მინახავს — და ძმაც სწორედ ისე იყო; სკამზე ვეღარ ისვენებდა, ბორგავდა, ხან იმას ამბობდა, — ეხლა თუ წამივიდა ვეღარასოდეს შეეხდებით; ხან იმას, — ვნახოთ და ის არ იყოს!.. მე ჩემი სადარდებელი მქონდა: დამეშალა, ნუ იზამ-მეთქი?.. გამინაპირებდა, უჩემოდ რასა და როგორ მოიმოქვედებდა — სასაჩართლოზელა გავიგებდი. ძან ცუდ დღე-

ში ჩავარდი, რომ შეტი ალარ იქნება. ისე ვიყავი, ვითომ თაგვი წისქვილი მედგა — ხან რასა ვფიქრობდი, ხან — რას. აზრმა გამიელვა, ავდგები და ძმას ვეტყვი: ნეტავი შენა! ზიხარ, ლამის დამალი ხამოვივიდეს, ის არის თუ არაო? მიდი და ჰკითხე. რამეს ხომ ვეტყვის? რასაც ვეტყვის, იმაზე შეეტყობა ვეტყლური-მეთქი. გულში რა მეონდა: თუ ეს კაცი მართლა თუთაშია იყო, მაშინ უშველუში იმალებოდა. და თავის ვინაობას ცოცხალი თავით... არ იტყოდა — ეს ერთი. მეორე ისა, რომ ძმაბასგანაც გაგონილი მქონდა თუთაშია დიდი უშმაკი კაციათ და ძმაბა თქმაც არ იყო საჭირო, ზედფე ეტყობოდა რა ხილიც იყო — ისეთებისას აებდაუამდა, რაშიაც მოინდომებდა, იმაში დაარწმუნებდა. კინაღმ გავბრიყვნდა და ვუთხარი, მიდიომეთქი... კაცი როცა შეწუხებულია, ათას რამეში შეცდება. ნახე: ძმამ უჭვი საიდან აიღო, ეს კაცი თუთაშია არისო? გარეგნობით იცნო, არა? გამოლაპარაკებოდა — შეიძლება ცოტათი ხმითაც ეცნო...

სანდო ამ გაწამულიაში ვიყავი, დუქანში ახვრები შემოვიდნენ. სამნი იყვნენ... ვაჲ, კარგია, ქვეყანა იმათ არ დარჩათ. დაილუპებოდა!.. ისეთი ხალხი იყო, რაც მამაპაპას ათასი წელიწადი უშენებია — სამ დღეში დააგვრევდნენ. „დედა ნახე, მამა ნახე — შევლი ისე გამონახეო“; ჩარჩებმა, ქორვეტრებმა ფულები იშოვნეს; ბეჭმენები და არშინები გადაყარეს, ვითომ კაცები გახდნენ. თვის ლევებს გუვერნატები და ბონები დაუქირავეს. აქეთ — სწავლა, იქთ — პიანინო! აღამიანობა ვიღამ ასწავლას — ბონამ, დედ-მამა? ჯერ ერთი, არც ესმით, რომ კაცია ცალკე სასწავლებელია. მეორე — იმ დედ-მამას აღამიანური თავისთვის რა აქვს, შვილს რა უნდა შესძინოს?.. თხუთმეტი-თექვესმეტი წლისანი ქუჩაში გამოლიოდნენ, მარაქაში ერეოდნენ — დაპატებით როგორი ჯიშიცა ჰქონდათ, იმ-

პაგა აპილავიაზი

დათა თუთაშია

ნაირ საქმესა და საქციელს როგორა ხვეტავდნენ, აური აი, როგორც ხარაზ-მა თავისი დაზიანდან ანდამატით ლურ-ს მნენით ახვეტოს — ისე. განა კარგსა სწოლობდნენ? რაც რამე ფინთია — იმასა სწოლობდნენ. ეს იმიტომა, რომ ცუდი სისხლისანი იყვნენ. რიგიანი კა-ცის შვილი, სიტყვაზე, ხელოსანი კა-ცისა, თავისი ალალი შრიმით პურის მჭამელი კაცისა, რაღა თქმა უნდა, რომ რაც კარგია, იმას აიღებს, ცუდს არ წაეკარება — სისხლი იქნება ეგეთი... რო-გორები იყვნენ! ახვრებისთვის არც კა-ნონი იყო, არც სამართალი. უმშეოსა ნახვდნენ — გავიხირია, არაფრისთვის აწყენინებდნენ, წიხლით ჩასთელავდნენ. მჯობი გამოტინდებოდთ, ან თუ თავისი უხეირბით კანონში გახევეო-დნენ — მამები იქ არა ჰყავდათ! ფული იყლდათ თუ გავლენა და ნაცნობობა?.. ხედავ — მოდის, მოიტყლარება, გინ-და ასი წლისა იყავი, ერთი გოჭით არ გაგეცლება. ეეჭ, ღმერთს ვენაცალე, ერთი დრო არავის შეარჩინა!

როგორც არია!.. იმას ვამბობდი, სა-მი ახვარი შემოვიდა-მეტქი. დგანან ვა-ფხრილები, ადგილს დაეძებენ და ად-გილი კი არ არის. თითო ისეთი დედას ბიჭია, შეაყენ — სამოცლაათი, ოთხ-მოცი თუმთისა მარტო ტანსაცმელი ჩა-მოვა. ჯიბეშიც კიდევ სხვა იქნება. ეხ-ლა, ახვრები რისთვის მოვიდნენ! სად-ლაც ჩაუცეცხლით და ცოლაკას სიმ-ლერისთვის არიან მოსულები და ვერე-კი სხდებიან. ეს ამბავია, ტაშიკოლა შე-მოვიდა, ახვარს ხელი გაუშეირა, მო-წყალება სთხოვა. ახვარმა ჯიბიდან რა-ლაც ამოილო, ხელში ჩასჩარა, მოუჭი-რა, მუჭის არ ახსნევინებს. ტაშიკოლა ყვირის, ახვრები სიცილით იხოცებან. მთელი ღუქანი იმათ მაიმუნბის შეს-ცემერის; ზოგი იცინის, ზოგს ვერ გაუ-გია საქმე როგორ არის. ტაშიკოლამ ბოლოს ახვარს ხელი ძალისძალად გა-მოსტაცა, დაიქნა, ვითომ დაფუფქეული ჰქონდა და იატყეზე პატარა ბაყაყმა მოადინა ტყაპანი... ძობა ისეთია, დანა დაარტყა — წვეთი სისხლი არ გადმო-

უვა. ამნაირი რამეები ეჭავრებინდნენ. ძობას კაციც იმ ამბავს შეჲყურებს; არც იცინის, სახეზე არც ის ეტყობა, რომ სწინდეს რამე. საცოლავ ტაშიკოლას პირი დაუღია და თვალებს აქეთა-ძირი აცეცებს. მაშ, სხევას რას იჩაშეს!.. აი, ეგეთები იყვნენ ახვრები: საცა-საწყალ-სა და უმშეოს ნახვდნენ, იმათი მხარ-რულება და დროს ტარებაც ერ რყო. მა-გათი პატრინის ღელა!.. მეორე ახვარმა ტაშიკოლას კაბუკანი მისცა, მესამემ პაპიროსი ამოიღო, პირში ჩაუდო, მთა-კიდებინა კიდეც. ტაშიკოლამ გახსარა — პაპიროსი მდიდრების რამე იყო, ძი-რი ღირდა, მაღლობა თქვა, ახვრებს ვა-ეცალა და სხვა მაგიდებს დაუარა. ცო-ტრა ხანში ძობას კაცთანც მოვიდა. ამან სკამი გამოუშია, დასვა, საჭმელი მის-თავაზა, ღვინონ დაუსხა. ტაშიკოლამ თა-ვისი პაპიროსი მაგიდის კიდეზე ჩამო-დო, საჭმელ-სასმელს მიაწვა. იქით ვა-ვიხედე — ახვრები ძობას კაცსა და ტაშიკოლას ჩუმჩუმად გამოცყურებენ, რაღაცის მოლოდინში არიან. ძობას კა-ციც გაფაციცებული ჩანდა — ხან ახვ-რებს გახედავდა, ხან თვალებს მაგიდა-ზე დაატარებდა, ჰაერსა ყნოსავდა, თითქოს რამე იწვოდა და ვერ ვაეგო, სუნი საიდან მოლიდა.

ახვრებში რამელიც უფროსი იყო, იმან შალიკო-მსახური მიიხმო, ყურში რაღაც უთხრა, თვალით ძობას კაცის-კენ მიიჩნენა და სამმანეთიანი მისცა. შალიკო-მსახურმა ფული გამოართვა, თავი დაუქნია, — კარგიო, აქეთ გომს-წია. სანამ შალიკო მოვიდოდა, ძობას კაცმა ტაშიკოლას პაპიროსი ცხვირთან მიიტანა, უსუნა და ახვრებისკენ ჯვრი-ანი თვალით გაიხედა.

შალიკო-მსახური მოვიდა, ძობას კაცს უთხრა:

— ბატონო-ჩემო! სტუმრები მობრ-ძანდნენ, ადგილები არ გვაძეს და თქვენს მაგიდას თუ დაუთმობთ აგერ; ა, სამ მანეთს ვთავაზობდენ... ჩემგან ნუ გეწყინებათ ნურაფერი. მსახური ვარ.

ძობას კაცმა. შალიკოს სიტყვებზე ტაშიკოლას მხრითოლავ პაპიროსს ისევ უსუნა და დინჯად ჩააქრო. როგორ ჩააქრო, იცი? ჭერ თითებით ცეცხლი გაა-გდებინა, მერე მაგიდაზე დაცემული წვეთი იძოვნა, ნამშვავი იმ წვეთი ციმ-ციმად დაადო, დარწმუნდა ჩარია და ჯიბეში ჩაიდო. როგო ამაებს მორჩა შა-ლიკოსთვის მაშინდა მოიცალა:

— მარტო რომ ვიყო — სხვაა მაშინ. ორნი ვართ და უნდა დავვითხო ამ კაცს. წადი, ბიძიკო, და ცოტა ხანში მოდი ისევ.

მსახურმა ულვაშებში ჩაიცინა:

— მას რა უნდა კითხოთ, ბატონი! ეს მათხოვარია, ტაშიკოლაა. შაური რომ მიცენ, მუხრანის ხილამდე კინტოურის ცეკვით მივა!

ახერხებს მოლოდინი ჰქონდათ, წარბ-შეკრულები იყურებოდნენ.

— წადი, ბიძიკო. მოდი ისევ და გე-ტყვი მერე, — გაუმეორა ძობას კაცმა და თავის საქმეს მიჰყვა, შალიკოსთვის ური აღარ უთხოვებია.

— ყყალმაყალი ატყდება, ეს კაცი ხელიდან წამივა, თორემ ვინდ თამამ-შევის შეიღები იყენენ, ამ ახვრების ოთხში ამოყვანას გაყურებინებდი! — ჩაილაპარაკა ძობამ და გადააფურთხა.

ტაშიკოლა ჭამა-სმას მორჩა, ხელე-ბი გადააფურნიტა, წასასვლელად მოე-მზადა. ძობას კაცმა სათუთუნე მიართვა. მათხოვარმა ნახა, ჩემი წასელა არა-ვას ექვარებათ, თუთუნი გაახვია, ფეხი ფეხზე გადაიდო, რიგიანად მოიკალათ და გააბოლა.

ძობას კაცის საქციელი, სიმარტლეს ვიტყვი, მომეწონა. ვიჯერი, ვფიქრობ-დი, ნეტავი მერე რას იზამს, რას მოი-მოქმედებს-მეტვი...

დუქეანში ზახარ კარპოვიჩი შემოვი-და. ზახარ კარპოვიჩი გახსოვს!.. ასლა-მაზოვი. არ გახსოვს. ელამ კარაპეტას ბიჭი. რანაირ ბეჭედს გინდა, გერბიან ქაბალდს გინდა, რასაც გინდა, იმას გა-გვეთებდა. მოგავრონდა?: „ზახარ კარ-პოვიჩი“ — იმისმა მზემ!.. კაცად ვინ

აგდებდა?! ეგრე იმისთვის შეარქვეს, შორიდან დაგნახა — მინისტრი გე-გონებოდა: შლაპა, გალსტუკა, ბუნები-ანი ჭობი, ფეხზე გამშები... ახლო, ნა-ხავდი, ყველაფერი დაძებილ-გაწყა-ლებული ეცვა, იმის ტანისამოსს მექვე-ლმანე უფასოდ არ წაიღებდა. თავის თავს ატყუებდა, რაღა. პო, შემოვიდა, დუქანი მოათვალიერა, დახლის ბოლო-ში დადგა. სამზარეულოს კარი ღია იყო, ვიღაცას ხელი დაუქნია, — გამო-დი, საქმე მაქვსო. მარო გამოვიდა, ჩემი ქალი. ზახარ კარპოვიჩმა ყურადღირში რაღაც უთხრა, მიტრიალდა და დუქნიდან გა-ვიდა. მე ეს საქმე არ გამქვირვებია — ჩემი მარო და ზახარ კარპოვიჩი კარის მეზობლები იყვნენ, მაგრამ ძობას კაც-მა იმათ ჩურჩულს ისეთნაირი თვალი ესროლა... უნდა ვენახა, როგორი.

ძობა კი ღიინოს ეძალება, თვალებ-ში სისხლი აქვს მოწოლილი.

— ჲა, ძობაგან, რა კაბეჩიით იბლ-ვინები, განა რა მოხდა? — ისე ვეტ-ნები, რომ გავამხიარულო და თანაც კუშანი გაუუგო. — რასა ფიქრობ, რა-ზე მოგიშეენა!

— რასა ვფიქრობ? რასა და, ნახე, მარჯვენა ჯიბეში რევოლუციი უდევს. მე რით მივიღე?.. ცარიელა ხელებით მივიღე?!

ცოვმა იოლმა დამასხა. ეს ნათქვამი იმნაირი იყო — ძობა თავის სიტყვას აღირ გადაუხევდა, თუნდ ეს კაცი თუ-თაშები კი არა, გაბრიელ მთავარანგე-ლობი ყოფილიყო. როგო კაცონ მოუ-ლი სიცოცხლე და ათას რამებში ერ-თავ ხარ, ერთ სიტყვაზე იმისი ყველა-ფერი დაკავანივთ იცი. ეგრეა... არუ-თინოვის შეიღლში გორგა მათაშეიღლმა და ბიჭებმა ოცდაათი ათასი აიღეს და მერე საქმე ისე წაგიდა, რომ ყველამ კატორლაში ამოყო თავი. ძობამ ეჭვი, მეთულსხე ჩიხო იყო, იმაზე იიღო, ამან გასცაო. ვეუბნები, — ვინ გითხრა, საიდან იცი მაგისი გაცემულები არიან,

ზაგუა აშირებიში
დათა თუმაზია



თუ სხვისი და რას ერჩის, რათ უნდა
მოკლა-მეტქი. ძალად ვინ ჩამაგდო,
ვისი ტყი-ტომარა ვიყავი — ორი წე-
ლიწადი იმ საქმეს უტრიალა და ერთ-
ხელაც გამომიცხადა, — ნაღდად ვიცი,
ის ბიჭები მაგისი ჩამოილები არანინ.
ეხლა, როგორ გითხრა, რანაირად ვეხ-
ვიწე! ააგდო ქვა და შეუშვირა თავი, —
მაგნაირი კაცის სიცოცხლე არ აქნე-
ბაო, იპოვნეს მეთულუხე ჩიხო თავეგა-
ჩეხილი. ძმბას ვერაფერიც ვერ გაუ-
გეს. ესეთ საქმებში ბედი ჰქონდა-მეტ-
ქი, აყი გითხრა. ის მეთულუხე ჩიხო
იყო, ავი საქმე სხვას გაუკეთა. ჩვენ
გვერდით კაცი იჯდა, მე კაცის ნახვას
ძმბა მთელი სიცოცხლე ნატრიოდა,
თავისი ოჯახის ამომგდებად მიაჩნდა და
გაუშვებდა? არ გაუშვებდა და, ბედი
ისეთი რამეა, დღეს — გაგცინებს,
ხვალ?

— რანაირი გულვარარმლიანი კაცი
ხარ, ძმბა! — სხვა რა უნდა მეთქვა.
თავისას მაინც არ დაიშლიდა, მოსახდე-
ნი უნდა მომზღვარიყო. ეხლა მარტო
იმისი ფიქრი მქონდა, რომ საქმე სუფ-
თად გაეკოტებულიყო.

სამზარეულოდან მარო გამოიშუ-
რა, ძმბას კაცთან მოვიდა და უთხრა:

— თქვენ რომ ელოდებით, იმ კაცმა
შემოგითვალათ, შინა ვარ, მოდითო!

თუთაშხამ მაროს თავი დაუჭნია და
სთხოვა, მსახური გამომიიგზავნეო.

შალიყო-მსახური მოვიდა.

— მოგვეცი ის საში მანეთი, რომ
გვაძლევდი და დაუცლით ადგილს! —
უთხრა ძმბას კაცმა.

შალიყომ ფული ამოილო, გაუწოდა.

— დადე მანდ! — ძმბას კაცმა თი-
თით ანშნა, საღაც უნდა დაედო.

მსახურმა ფული მაგილაზე დადო.

— რამდენია ჩვენზე?

შალიყომ იანგარიშა, თქვა რამდენიც
იყო.

ძმბას კაცმა დანახარჯი გადაიხადა
და ტაშიერას უთხრა:

— აიღ ეგ ფული. შენია ეგ საში
მანეთი... აიღ და წალი მალე, თვარა

წაგართვან, იქნება, ისეთი ხალხი ჩამოი-
ვა ხალხი.

ტაშიერამ ფული ჭიბეში იტულა
და მოუსცა.

ახვერბი ნაყილი ადგილისკენ წამო-
ვიდნენ. ძმბას კაცი ჯერაც არ ამდგა-
რიყო — თავზე წამოადგნენ.

— ვითომ რაო, შენმა თავის გახეთ-
ქიმ, ჩვენი ფული ბარძაყზე გიყმენდა? —
თქვა უფროსმა ახვერბა.

ძმბას კაცმა ის ხალხი ცივი თვალე-
ბით მოარა, წამოდგა და უბასუხა:

— თქვენი აღარ იყო, ჩემი იყო და
მიცეცი, ვისაც მინდოდა!

ეგ იყო — მიბრუნდა და კარისკენ
გავმართა. როცა დუქნილან გავიდა, ერ-
თმა ახვარმა ძალიან მშარე გინება თქვა
და გმომეკიდა. მეორემაც წამოიწია,
მაგრამ უფროსი რომელიც იყო, იმან
მხარზე ხელი დადო, დასვა:

— ყალბაყალი — არ გინდა! დაა-
ქოთაქებს და მოვა.

ძმბამ თვალი მიქნა. წამოდევქით,
ჩვენც იმ კაცებს მიყვევით კარში გა-
სცლა იყო, გვესმის, ახვარმა ძმბას კაცს
უძახის, — დადექიო! ძმბას კაცი გაჩერ-
და, მობრუნდა:

— რა გნებავთ, ბატონო!

ახვარმა სილა გააწნა და დააყოლა:

— ეს არის, სხვა არაფერი!

ის ახვარმა კაი ვირი იყო და მაგა-
რისა სთხლიშვ.

— კარგია, მეტი თუ არაფერი! —
თქვა ძმბას კაცმა, მიბრუნდა და წავი-
და.

— ვაძ! — ახვარმა და ძმბამ ერთ-
და თქვეს ესა.

ძმბას კაცმა თხუთმეტი, ოცი ნაბი-
ჭი გაიარა. ახვარი ხელახლა გამოეკი-
და, ისევ დაუყვირა, — დადექიო! იმან
ნაბიჭს უკლო. ახვარი უკვე ზედ იყო
მისული, ძმბას კაცი მოულოდნებულად
შემოუტრიალდა, მუცელზე რევოლვე-
რი მიაჭირა. ახვარმა რაღაცა ხმა მოო-
შვა და ხელები მაღლა წაიღო.

— ჩამოუშვი! არ უთქვას არავის,
ხელები მაღლა აწიერ!

ახვარმა ხელები ჩამოუშვა.

— რა გინდა ჩემებან? ბიძიეო? — წყნარად უთხრა ძობას კაცმა. — ყველაფერს ვერ იყიდის. კაცი იმ ქვეყანაზე უდიდეს ეს მინდოდა, გაგეო, იმიტომ მეცეცა. შენი ფული მათხვერას. ჭერ იქ ამლანდეთ. მერე დამეწიე და სილა გამარტიული. არ გითხარი არაფერი. ერთი, რომ არ მეცალა შენთვის. მეორე ის, რომ ვაპატე, გამოფხაზლდება და მისედება: გლახალ რომ იქცევა, ვითქმრე. არ მეშვები მაინც. კაცმა თუ გაპატა, არ უნდა გეგონოს, ვითომ სუსტია და იმტომ დაგითმო. ა, უყურე, ჩემს ხელში ხარ და რასაც მინდა, იმას ვიზამ. მინდა — გაგლანდავ, მინდა — გაგლახავ, მინდა — მოგვლავ, მინდა — ამას მოგუშვენებ ბოლომდე. იუფებს თოფის წამალი და იმ სიცილს, აგრე, ამ ხალხან ერთად ვიცინებ შენ და შენს ამანაგებს თქვენთვის რომ გინდოდათ, — ძობას კაცმა გულის ჯიბიდან ტაშიერობას პაპიროსის ნამწვავი ამოიღო. — გააღე პირი! მასე... მოუკიდე ყეცხლი!

ახვარმა ისეთი ფაციულცი ატეხა, გვგონებოდა ცეცხლი ნამესტნიკისთვის უნდაო.

— რასაც მინდა, იმას ვიზამ. ჩემი ნებაა ყველაფერი. რატომ, თუ იცი? იმიტომ, ბიძიეო, რომ ძალაა ჩემს ხელში!... გადააგდე მაგ სიბინძურე! გამოიღე პირიდან, რომ გელაპარაგები!.. მასე... რას ვიზამ, თუ იცი? კიდევ გაპატიებ! წადი, აჩლა, ეცადე დაივიწყო მასეთები და შენც თუ გაწყვენინა ვინგებ, გახსოვდეს, პატება აჯობებს მავირის გადახდას. წადი, ახლა!

ძობას კაცი ახერის წასვლას ელოდა. ახვარი იდგა, აზრზე ვერ მოსულიყო.

— წადი ახლა, რომ გუბნებიან! — გაუმეორა. ძობას კაცმა და თავის გზას გაუდევა.

ახვარმა თავი ჩალუნა, ნელი ნაბიჭით დუქნისკენ აიარა.

დროვმა ჩამოარა, იქაურობა ბრაგა-ბრუგით აიკლო.

— ნახე? — ვთქვი მე. — მაგაზე ცუდი კაცობის თქმა. იქნება?

ძობამ თითქოს გამოილვებათ. სახე-ზე ხელები მიისც-მოისცა, კბილები და-კრაჭუნა და მითხრა:

— ეგ ეხლა ზახარ კარპოვიჩთან მი-ლის. შორიახლოს მიპყე. შევიდეს. გა-რეთ დამელოდე. შინ მივალ, იარაღს წამოვიდებ. თუ გამომსწრო, კიდევ მიპ-ყევი, გაგე საზა დგას. არსად დაგეცარ-გოს! მიღა.

ძობამ მეტებისკენ გაპერა.

ზახარ კარპოვიჩი ჩულურეთში იდ-გა. რომელ სახლში იდგა, იცი? გეო ასლამაზოვის სახლში... მაგასაც მოგა-გონებ. ქალაქში ერთი ჭალარა, წითური კაცი დაგიიდა, ზურგზე ერთთავად ტომარა უკიდა საცა აგურსა ნახავდა, იმ ტომარში სდებდა, შინ მიპქონდა. ლამაზი, მოხდენილი კაცი იყო, მაგრამ ჰკუა აკლდა. მალ-მალე იტყოდა ხოლ-მე:

გეო ასლამაზოვ,

სახეშითელო, ლამაზო!

შენ გიფი ეძახე — ეგრე თითო-თითოდა მოგრივებული აგურებით ჩუ-ლურეთში ორ თახანი სახლი აიშე-ნა. ზახარ კარპოვიჩი გეო ასლამაზოვის ძმისწული იყო. ბიძის სიკვდილის შემ-დეგ ის სახლი მექვიზრებით მიიღო. ერთ თახაში თავად იდგა, მეორეს — აქირავებდა. იმ მეორე თახაში ჩემი ქვრივი მარო ცხოვრიბდა. მარასთან ყოველ დღემეორე, დღემესამე დავდი-ოდი, გზაც კარგა ვიცოდა, სახლიცა და ძობას კაცს აჩხენად მივდევდი. ძა-ლიან ნელა, ფრთხილად და ეშმაკურად მიდიოდა. ეტყობოდა, იმისც ეშინდა, ხომ არავინ ამეკიდათ და იმისიც — ვზა არ ამერიოსო. თვალი შორიდან მეტირა. როგორც უნდა ევლო — იქ უნდა მი-სულიყო... ესე გულდაჭერებითა — ვარ და იმაობაში დამეკარგა ჭერ აქეთ-იქით ვაცეცე თვალები. მერე ვივარაულე, იქ-ნებ წინ წავიდა და სიბნელეში ვერა ვერდავ-მეთქი. ფეხს ივუჩერე. მაინც არა ჩანდა. ეგრე ძენძულ-ძენძულით ზახარ კარპოვიჩის სახლსაც მივალექი,

მაგრამ ძობას კაცისა კვალიც არსად
იყო. დავაღებული დირ და დავდექი. რაღა
მექნა!

ცოტა ხანი გავიდა, არ ვიცი უკან
რამ შიმანედა. მივიხედე და ძობას კაცს
თვალი მოვკარი. თვალი მოვკარი-მეთ-
ქი, იმიტომ ვამბობ, რომ ნაპერწკალი-
ვით გავარდა და გაქრა. კინაღამ იყო,
თავში ხელი შემოვიკარი, მივხვდი, მო-
მატყუა; შემამჩნა უკან რომ მივდევ-
და, დამემალა, წინ გამიშვა და თავად
გამომყავა. კვალდაკვალ მე მივდევდი და
საქმე ისე შემობრუნდა, რომ ის გა-
მომყავა.

ამ მშბავს კარვი მოფიქრება სჭირ-
დებოდა. ყური მიგდე, რანაირ დღეში
ჩავდარტი. ძობას კაცმა ზახარ კარპო-
ვიჩთან მისული და ბრინჯივით დაბნე-
ული მნახა. ახვართან ლაპარაკის დრო-
საც შემნიშვა. საქულა მშეღლის დუ-
ქანში მეცა და ძობაც გვერდზე ვეჯე-
ჭით. ლაპარაკი არ უნდა, დარწმუნდა,
რაღაც ინტერესი გვქონდა, მაგისგან
რაღაც გვინდოდა. ეხლა აქ, ზახარ კარ-
პოვიჩის სახლთან ვიღევი — არც იქნა
მივდიოდი, არც აქეთ ვიძეროდი. ძობას
კაცი ამ სახლში შეგმოსვლელი იყო?
ქული შეეგდოთ, გამოსატანად შევიდო-
და? ესეც იქნა იყსს; ორავეც ვიკო-
დით, რომ ერთმანეთს ვუთვალთვალებ-
დით. გამოვდევნებოდი? ჭერ საკითხა-
ვი ის იყო, ვინ ვის გამოედევნებოდა!
დავწეროდი? იმას იარალი ჰქონდა, მე
ხელცარიელი ვიყავი. მქონოდა კიდეც
იარალი, დავწეროდი კიდეც — რა მე-
თქვა, რა მინდა-მეტექი?.. გულზე მაინც
რაღაცნაირიდ მსუბუქად ვიყავი. ალ-
ბათ იმიტომ, რომ რახან მიგიხვდა წი-
ვიღოდა, გაგველებოდა, შარს გადავ-
რჩებოდით.

რამჟენი ვიფიქრე, იმაზე უკეთესი
ვერაფერი მოვიფიქრე, რომ ამ ჩასური-
ლი საქმისთვის თავი მიმერბებინა, ზა-
ხარ კარპოვიჩთან შევსულიყავი და სა-
ნამ ძობა მოვიღოდა ძობას კაცის ნამ-
დვილი ვინაობა, ძალით იქნებოდა თუ
ნებით — ვამეგო.

ამაზე მერეც ბევრი ვიფიქრე ხოლ-

მე და მუდამ იმ შზრამდის მიკვდილი
რომ სწორად გადავწყვეტე. შეიძლება,
იმდენი ტკინი არა მეონდეს, რომ უკა-
თხის რამე მოვიგიტრო, მაგრამ, ნალ-
დია, იმისთანა საქმეში კვლა კაცი ისა
მოიქცეოდა.

უკან არც მიმიხედია — დავადე თა-
ვი და ზახარ კარპოვიჩის ალაყაფის
კრიჭა შევაღე. ერთ-ერთი ფანჯრიდან
შექმნა ვიწრო ზოლი სცემდა — დარა-
ბა კარგა არ იყო ჩაეტილი. კარზე მივა-
კაუნე თუ არა, თახაში სინათლე ჩაქ-
რა: დაიმალა ზახარ კარპოვიჩი! რახნ
დაბარებულ კაცან დათქმული კაკუნი
ვერ იცნო, დამალვა არჩია.

კიდევ დავაკაპუნე.

ხმა ვინ გამცა!

— კარპოვიჩ, გააღე, ვიცი, შინა
ხარ. ნუ გვშინია, ვასო ვარ, ვასო! —
ხმადაბლა შევძახე.

რაღას იზამდა:

— კტო ტამ?

— გააღე, ვასო ვარ!

— კარები შეეგუშალა, ვასოვან. მა-
როს კარები — ტიადომ! თანაც, ჭერ
შინ არ იქნება, დუქანშია!

— კაცო, გააღე-მეთქი, საქმე მაქვა!

კარპოვიჩმა ეხლაც არ გააღო:

— ვალოან, პაულისტა, სხვა ღრმა
მოდი! ეხლა თახაში ასობა მყავს... ქა-
ლი, რაღა!

— კარპოვიჩ! — ძალიან გავბრაზდი,
რომ მეტი არ იქნება. — თუ გამიღება,
ალალად ვამბობ, საქმე მაქვა, კვითხაე
და წავალ. თუ არ გამიღება, კარს შე-
მოვიტონ, მაგ შენა ქალით დავიწყებ და
კარპოვიჩით მოვრჩები!

— ნი მაგუ! — თავისაზე დადგა, მა-
მაძალლო.

— მაშინ წიხლი ავიქნიე, კარის გვერ-
დით ფანჯარა იყო, იმისი შუშა ლაშა-
ლუშით ჩამოვიღე.

— ატ-კრივიაუ!.. აღარ ვატეხო. ატ-
კრივიაუ!

ნათქვამი არა ჰქონდა — კარი ღია
იყო!

— პრაშუ, ბატონონ!

სანამ თახაში ფეხი შევდგი, კარპო-

ნი პასპორტი უშოვნე, ბეჭედი უქენი
და აქ მე შევამსხვებ რა გვარზეც საჭირო
იქნებაო, კლიანტს ჩესტი! ჩემი საქ-
მე — ენიჭეა ი პეჩატ. მეტი არაფერი!

ამნაირ საქმეებში უგრეცა ხდება,
უციცლდი, მაგრამ აზრზე მოვედი, რომ
ძობას კაცი ხელიდან წავივიდა, ბრაზი
მომედო, წამოვეტი, გოხი ავშიე, კარ-
პოვიჩი წინდაწინ დაიყლავნა და ამ
დროს, ჟუპლუზ — ძობას კაცმა კარი
შემოალო!..

გოხი დავუშვი, გავშრი. გავშრებო-
დი, მაშ, რა იქნებოდა! ჭრ ერთი, არ
მოველოდი. მერე, რა დასამალია, რაც
მე თუთაშებია მქონდა გავინილი, იმი-
სი ნახევარი ყოფილიყო მართალი —
ଶାନ ଶାଶ୍ଵତଶ୍ରୀ ଶାନ ଦାଶ୍ଵେବିଲିଶ୍ରୀ.

କାହାରେ ଯେହିମିହିମି ଯୋଜିରି ଯେହିଦ ସିନ୍ଧିଶ୍ରୀ,
କାହାରେ ଯେହିମିହିମି ଯେହିଦ ସିନ୍ଧିଶ୍ରୀ.
କାହାରେ ଯେହିମିହିମି ଯେହିଦ ସିନ୍ଧିଶ୍ରୀ...
କାହାରେ ଯେହିମିହିମି ଯେହିଦ ସିନ୍ଧିଶ୍ରୀ...





ლალი პრეზენტი

გოლო ღამე

აფთიაქში მარტოდმარტო ლარჩე-
ნილმა ბიჭმა კადელზე მიყიდებულ
ბრძყელ საათს ახედა და მაშინვე, დიდ-
მა ისარმაც მედილურად, ჯიუტი სიზუ-
რით გადაინაცვლა მომდევნო ხაზზე.
კი, მედილურად, თითქოსდა ბიჭის გა-
მოსაგავრებლად, ხოლო ენა რომ ჰქო-
ნოდა, უშპელად იტყოდა: მე სულ ცა-
რიელ აფთიაქშიც შემიძლია ყოფნა, მე
არავინ არ მცირდება.

კარგახნის შეღამებული იყო, კაცი-
შვილი აღარ ეკარებოდა აფთიაქს და
ყველაფერი ახლა ამ კედლებს შეინით,
გარდა ამ მეტინარა ისრისა, ბიჭს თანა-
უგრძნობდა, ყოველ შემთხვევაში, ისე
ეწევნებოდა მას. პატრიონის მოლოდინ-
ში თავშადებული ძალივით თვლებდა
სიჩუმე: მამა კი ჯერაც არ ჩანდა. იცო-
და მან ვერაბის დრო, ის ხომ მოელი
დღეობით შესვენებლად მუშაობდა: დებულობდა რეცეპტებს, ამზადებდა
წამალს, აპრუნებდა ხურდას; კველა-
ფერს ისე გვლობგინებოთ ეკიდებო-
და, ბიჭი ზოგჯერ მცვეანობდა კიდეც
ამ ხალხზე, აფთიაქზე, წამლებზე, ასე
რომ ინაშილებდნენ მამის ყურადღებას
და ეგბე, შვილის აქ ყოფნასაც ავიწ-
უებზენ. კველა ეცოდებოდა მამას, კი,
ბიჭი დარწმუნებული იყო მის გულ-
კეთილობაში. როცა, სასურველი წამა-
ლი არ აღმოჩნდებოდა აფთიაქს, მა-
შინ სათვალეს იხსნიდა. მამა,

გრძნობით შეათვალიერებდა იმედგაც-
რუებულ უცნობს, საღმე, სხვა აფთია-
ქში მიასწავლიდა, ანდა ორიოდ სიტყ-
ვით გაამისნევებდა, სამერმისოდ შექ-
პირდებოდა შოგნას. ხდებოდა ისიც,
რომ სხვათაშორის ჩაიკითხვდა იგი
რეცეპტს და უბრალოდ იტყოდა: არ
არის. იშვიათად, მაგრამ მაიც ხდებო-
და ასეთი რამ. მაშინ ბიჭმა იცოდა, —
რალაც არ იყო რიგზე, რალაც უპირდა
მამას. ავიზრდებოდა მამის სახესრებ-
დაბურცულ, წვრილ თათებს. ეს თი-
თები უბნევინენ ბიჭს ხალათის ლი-
ლებს, უსწორებდნენ თმას, დილაობით
ორიოდ ვერცხლის ფულსაც სთავაზობ-
დნენ სკოლის ბუფეტისათვის. ნერ-
ვიულობის შემდეგ თთები ერთიანად
უკანკალებდა მამას. მაშინ კი განსა-
კურებით უყვარდა ბიჭს ისინი, უყ-
ვარდა და ეცოდებოდა კიდეც. მეაფ-
თიაქს ეძახდა ხალხი მამას. მეაფთია-
ქებ თქვა... მეაფთიაქს დაავვიანდება?
მეაფთიაქის იმედად!.. და ათასი რამ ეს-
მოდა ბიჭს მამაზე. თვითონ მას კი მე-
აფთიაქის ბიჭად იხსნიებდნენ. ღალაც
უხარიდა, მის სახელს მამას რომ კვა-
შირებდნენ, თუმცა ზოგჯერ ბეზრდებო-
და ყველაფერი, რადგანაც ყოველთვის
გრძნობა, — ხალხი მათი მოხსენიები-
სას უპირველეს მნიშვნელობას აფთიაქს
ანიჭებდა.

ერთადერთი, ვინც იფთიაქში სახე-

ମିରାକାରୀଙ୍କ ଦିଶେ, ଯୁଗ ମାତ୍ରା, ଅଲ୍ଲାପ ମନମିଳିବେଳିଟ ଏଲ୍ଲଙ୍ଘା ଠାର ତାଙ୍କିଲୋ
ଶାକେଲିସ ଗାଘର୍ଣେବାକୁ, ଉପରେ, ଆପିଲ୍‌ଏବେଲ୍‌ଲାଙ୍କ ଗ୍ରେନିମାନ୍‌ବା ଖେର ହାଜାର ଶ୍ଵରାଙ୍କ ନନ୍ଦା-
ବିଶ ଚାରିଶିଳ୍ପ କାରିଶି ଫେରିଶେମନ୍‌ଦିଗମ୍ବଲା,
ଗାନ୍ଧାରିପ୍ରେବିତ ହାତିକ୍ଷେରି ଶିଥରେ କାରିଲେ
ଲାହୁଖଣ୍ଟିବୁନ୍ଦି, ବାଦିଶ୍ଵରିବୁନ୍ଦି, କାଶିଲେ, ଶିରାତ୍ମାଦ-
ରିମ ଦାସୁଲିଲେ ଅତୀକାଶ ଓ ମାନିନ୍ଦା ଶ୍ରେ-
ନ୍ଦିଷ୍ଟଙ୍କ ଉତ୍ତମ୍‌ଭେଦ ବିକାରିଲେ ପାଦମାନାକରୁଣି
କ୍ରେଡଲୁବେଠି, ମାଲାଲି, ଗାମିନପ୍ରେବୁଲି କେ-
ରି, ଓ, ଖେର ଅରାଜ୍ୟରୀ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣରୂପରେ,
କ୍ରାଲାନ୍‌କ୍ରାନ୍‌କ୍ରେବୁରୁଲା ସିନ୍‌ହିମ୍‌ରେ, ଶିନ୍‌ହିମ୍-
ଦିଶୁମାଲି, ମନଦାରାଙ୍ଗେ ମନ୍‌ଦିନିରିତ ଗା-
ନ୍ଦେବେଶୁଲା, ମାଗରାତ ମାନିନ୍‌ତ ମ୍ୟାନ୍‌ତ ଶିନ୍‌ହିମ୍-
ରେ, ଗିଳିନ୍‌ଦେବିନ କାରି ମାନିହେରିଲା, ଏହେବ
ଶୈଖିମିଳୁଲିପୁଣ ବିନିମ୍ୟ, ମନ୍‌ଦିନିକେ ମେତାତ୍ମା-
ଙ୍ଗେ, ମାନିନ ଦିଶେ ତାମାମାଦ ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କ ଗ୍ରାଵି-
ଲିନ୍ ଏରିଯେ ନନ୍ଦାବି, ଶ୍ଵରାଙ୍କ ଦ୍ୟାରେବନ୍‌ଦିଶ
ଗାସିଲୁଲିପୁଣ, ମନ୍‌ଦେବିନ ମାତା, ତାମାମାଦ ମନ-
ସିରିନ, ତୁ ଅରା ଅସ୍ତ୍ର, ଶ୍ଵରାତ୍ମିକ ଶ୍ଵେତଶଳିନୀ
ଗାସିଲୁଲିପୁଣ ମାତି — ମାମିଲ ଅର-
ଧନ୍‌ର୍ଯ୍ୟନିରି ହେବୁଲାନ୍ତି, ଏବଂ କେବଳ ପରିବା-
ରେତ ଦାରୁଙ୍ଗେ, କିମ୍ବା, ଶ୍ଵରାଙ୍କ ମନ୍‌ଦିନିମି-
ନ୍ଦା.

აფთიაქის სპეციალური სუნი, ავად-
მყოფის სუნთქვასავით მიღებული, შეგ
ცხვირში უძრავებოდა ბიჭს, ვერ იქნა-
და ვერ შეაჩვია ყნისვა ათასნაირ

მალთა შეზავებულ არომატს, გადას თეთრ ხალას რომ აკონებდა ყოველ- თვის. ზის იგი ამ სუნით დაგეშილი, მოლოდინის ხიბლით დაყურსული, ოთახებს შეუ შირმაჩამონსნილი გასა- სკლელის წინ, საიდანაც მოჩანს მეფე- თიაქის სამუშაო მაგიდა: მუდას ერთდა, იმავე ადგილს მდგომი საწინი, წვრი- ლი, წვრილი ერთიძეწო გორაკებიანი, კოლხები, სინჯარები, ფხვნილიანი ლა- მაზი ქილები. ტრიალაზე კი, გამზადე- ბულ ბოთლებს მიწებებულ, ფერად რეცეპტებზე წაჭერილი უცხო გვარე- ბი. „ამ წამლების იმედად არიან, მერე- და რატომ არ წაიღეს? დილით კველა წამლი ალაგდება ალბათ. დალევან, და გადარჩებან“.

უფრო და უფრო სია- მაყით აავსო მამის სიყვარულმა. წარ- მოუღებელი იყო მის გარეშე აქაურო- ბა. რა მოხერხებულად ახვევს ფხვნი- ლებს ერთზომაზე დაჭრილ სუფთა ქა- ღალდებში, ასე გამოპარკვა მხოლოდ მეაფთიაქეს შეუძლია.

კედლებზე ისევ გირტი სიზუსტით
ბრუნვადა ხაზიდან ხაზზე მოხტუნავე
წამების მზომი კენტი ისარი. უაზროდ
მოეჩვენა ბიჭს ცდა, კართან კი — სი-
ჩქმე... სიჩქმე. ამიტომაც, სწრაფად
გაძრავ მაგიდებსა და წამლის ყუთებს
შორის, უკანა ოთახიდან გასულმა ჩა-
ყრუებული აივნიდან ჟენერა მობი-
ნაღრეთა ფანჯრები. ბროლის ჭალინ
სახლში ისევ ენთოთ მომწვანო, ლამაზი
შუქი. ეს ბინა მალივ სართულზე იყო
და იქიდან ადვიცანები ყოველთვის
მხარსშემოთ ჩანდნენ. მაგრამ ვერავინ
შენიშვნა ახლა ბიჭმა, ფრთხილად. შე-
პარვით მიღიალდა, თითქოს თავისივე
ჩრდილს უფრთხისით, ფეხებთანეე რომ
იწყებოდა და ოლაგა-ოლაგ დაღრუტ-
ნულ, მომპალ ფიცრის იატაზე მახინჯ
ლაქად მისრიალებდა. დერეფნის ბო-
ლოში, მოშლილი კედლის მოპირდაპირ
კარსშემოთ, შემინდელ ჩარჩოში სი-
ნათლე იდგა. ამ კარზე უშნოდ გადღაბ-
ნით, უნი წითელი გამარტინი აქ-

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ



სენებდა იმ დროს, როცა ვერადა ვერ ატყვდა ციფრებს ფურცლის კოხტა უგრედებში, ნაწერიც როგორდაც, ალაგ-ალაგ დაცერებული გამოსდიოდა.

ის იყო, შედგა, მაშინვე კარს მიღ-მა ჩახველება გაისმა. ეს მამა იყო, იც-ნო შვილის ფეხის ხმა, რეგი ყოველთვის რაღაცით ანიშნებდა ბიჭის თავის სიახ-ლოვეს. იკოდა, რას მთასწავებდა ეს ჩახველება, ანდა სახლში, კარზე კაკუ-ნის შემდეგ, სანამ ბიჭი საკეტს გა-ხსნიდა, რატომ იხოცავდა მამა ცხვირს ხმაურით. ინანა — რად არ ეყო მოთ-მინება, ცოტაც და, ხომ დაბრუნდებო-და მამა. ისევ უკან გაედევნა დერე-ფანს. მერქე, კარის ხმაზე თავმოტრია-ლებულმა, როცა თვალი მოჰკრა, რო-გორ გასხლტა სინათლის ჭავლი და ძველისძველ მიმექიულ თვერიზე გადა-მსხვრა. აღარ შეჩერებულა, ჩათვე-ბულ, დამეულ ჩრდილებს უკან დაძრულ ნაბიჯებს კუტრბოდა ახლა. ეს გაქცევა იმედს ნიშნებდა ბიჭისათვის, ყველაფ-რის ტოლფასი იყო ეს გაქცევა.

აფთიაქში დაბრუნდებულმა, საწო-ნის ციცქა გირავების შეგროვება დაი-წყო, მაშინვე კი გაიზიტრა: ეგებ არ ესიმონოს მამას მის მაგიდს რომ ვე-ხები. წინა ოთახში გადადა, მოლოდინის ნეტრარი ვანტდისაგან შეერეოლებული ტანით მიეკრო ქუჩაში გამავალ ვიტრი-ნას. უხილავ, მხოლოდ წარმოსახვით ასებულ სივრცეს გაქცა, თითქოს წო-ნა დაკარგვა, ისე შეცურდა და განზავ-და სიმსუბუქეში, ასე ძალუმად რომ დაპატრიონებოდა ახალ ქვეყნიერებას. პნიშნელობა დაპკარებს საგნებმა, ის მეტიარა სათაც კი აღარ გახსნებას მანამ, სანამ წამიერ ნეტრებაში გაი-გვებული სივრციდან თანდათან არ მოჩნდა. ბინდით დატანილი, ერთმანე-თზე მჭიდროდ მიგიფრული პატარ-პატა-რა ნავებობანი, რკინიგზის საღვურისა და ტვირთის საწყობის უკანა, ყრუ კე-დლები. მკვრიე სიმსუბუქით, თითქოს-და ეს-ესაა, ძევლისძველ, დროებისა-გან ჭუჭყისფრად ქცეულ კედლებს გა-მშვირვალეს გახდისო. უფრო ახლო —

კენტ-კენტად მღვიმი, მოწყვენილი გამამა პაროსთა იღნავ წადრებილი წვერები, ზეზეულად მძინარე ხეთა ლამაზი სი-ლუეტები, ალერსს რომ მოჰკვეულენ. მერე კი ბნელს მიჩვეულმა თვალმა გა-რკვევით გაარჩია ქუჩის გადაღმა, ათხ-რილი გზის კიდე-უ-იდე, ოღონისორი სავალზე მობარძაცე კაცი. ხელები წინ გაეშვირა, თავი აეწია, ანათხარის გაღ-მოლას ლამბდა, მაგრამ წაბარბაცდა. უწესრიგოდ ლუმინისცერებულ მიწის-პირზე ალვა-ალაგ ჩავარდნილ ღამის რომელიდაც ჩრდილს შეერთო მისი სხეული. ბიჭი დაიძაბა, მოლოდინი და-დარავდა ირგვლივ, ამ მოლოდინს უნ-და ვაცალკვებინა კაცი სიბნელისაგან, საჩინა გაეხადა.

ისე გაერთო, არც გაუგია მამის და-ბრუნება. რიყის ქვის ხუსლაზე, გაუ-რკვეველ, მასიურ წერტილს მიაგინა შეხრა. ამ აღგილს ქუჩის მერთალი ნა-თება სულაც არ უჯვებოდა. სწორედ აქედან წამიმიმართა მორყალული, მუქი სილუეტი.

— ჯუნო! — დაიძახა მამამ უკანა ითახილან და მაშინვე მინაც გაწერარუნ-და. — მკონი შენი ძილის დროა. ახლა-ვე აზიდულებ ჩაის და მიწერი. ხომ გინდა ჩაი. ჯუნო! არ ვესმის?

წამით ვაკვირვა ძახილმა, მაგრამ სმენამ კი არა, მოელმა მისმა არსე-ბამ მიიღო ეს ახლობელი, თანშეზრდი-ლი ხმა და ჯუნომ მექანიკურად უპა-სუხა:

— მესმის.

— ხომ გინდა-მეტეში ჩაი, — ღილი-ნივით გამიერის მამამ.

ჯუნომ უკანასკნელად შეატლო თვა-ლი, როგორ იუერთხავდა კაცი მუხლის-თავებს და სწრაფად მოტრიალდა. მა-მისაჟენ აჩქარებდა საკუთარი გულის-ფეთქე, ახლა საუეთქელებშიც რომ ბა-გუნად შეიგრძნობდა ბიჭი. მამა უკვე წინა ოთახში გამოსულიყო, აფთიაქის სალაროს გაფრენებაზე, ვიტრინას მი-ყრინნობილს ჩაის საღურარი. კოლბა ეწირა და შეიღის მობრუნებისთანავე, როცა მათი შეხრა ერთმანეთს შეხვდა,

მეაფთხოვებ საგანგებოდ იყოთხა: „რა მოხსეა ჯუნი? მამის თეთრი ხალათის საღილებრივ გამორჩეულ ძაფს მიწვდა ჯუნი; მიაწყვიტა, მერე ძაფიანი ხელი ქუჩისკენ გაიშვირა და ნაძალადევი სიშევებით თქვა: იქ ვიღაც ბარბაცებს, მოერალია ლებათ. ახლა ორივენი ერთად უყურებდნენ. კაცი ხელებგატოტილი, ხელი მიღიონდა ქვემოთ, საავეჯო კომპინატის მიმართულებით.

— ბრძაა, — თქვა მამამ, — შესაძლოა გზა დაებნა. თუ გინდა, გადი, შემოიყენე.

და ჯუნის მხარმა მამის გამხდარი ხელის სიმსუბურე ალერსივით მითვისა. ხოლო, სანამ პასუხს მიიღებდა, ბიჭის სახეზე გამოფენილ შეცტანების გასაქარვებლად დაუმატა მან: ნუ გეშინაა, ბრძები არავის ერჩიან, მე აქედან გიყურებ.

შიში არც მოფიქრებია, რა მოსატანი იყო შიში, როცა იგი მამის გვერდითა, მაგრამ რა უნდა ეთქვა უცნობი და ისიც ბრძა... უცნაური ეჩვენა მამის დავალება, სულ მოლო ტრაზა კიდევ უფრო უცნაურს რომ ხდიდა: ხელი მოჰკიდე და თვითონ წამოგვება. გაიფიქრა: მამას ჰერინია, მეშინია, იმიტომაც ამჟანს ლაპარაკობს „გასამნევებლად“. ერთბაშად გატრალდა კარისაკენ, დონგად გავიდა ქუჩაში. „ეშინია მაგრამ ას სურს გამეღავნება! — მეყულუად გაუელვა ქუჩაშე გადამვალი ბიჭის თვალთვალისას მეაფთხოვეს. ამ წუთმა პირველად აგრძნობინა, რა შეუმნეველად გაჩენილიყო მის შეიღმი მამაკაცი. ახლა დაგალვოვებულ კაცობას მიჰყავდა ჯუნი გაურკვეველი, მანამდე განუცდელი შეხვედრისაკენ, ეს კაცობა გულდაგულ ამტკიცებდა თავითავს, კარში ჩამდგარი მეაფთიაქის დასაჯერებლად, ფხიზელ მზერას რომ ატანდა მიმავალი შეიღლის სილუეტს.

უფრო და უფრო დაჭრებულად მიდიოდა ჯუნი.

აბა, ესც იმ დროს ჰეავს, ის დაუკიციარი დღე რომ შეაერწიშა, რათა მეაფთიაქისათვის დღევანდელობის

სწრატმეოლობა მიეხვედრებინა. იმ დრო იყო საწყისი ყველაურისა, რაც მოხდა შემდეგ და თეთრი პალატის სახით ჩარჩა მეხსიერებას. იმ დრომ დაიწყო საბეღლისწერო ვანაჩენი ჯერ კიდევ იმ წუთიდან. როცა იგი ავადმყოფი ცოლის სასოფტმალთან იჯდა და მძინარეს სუნთქვას აყურადებდა. ფიქრიან გარინდებას მოეცვა ქალთა საწოლები, თუმც მცირე ბიძგი და წამში მოირვეოდა ეს სიჩუმე. რომელიმე, შედარებით ოპტიმისტი ქალი კონსულტანტის როლს გაითამაშებდა, რამდენჯერმე გაიმეორებდა, გულდასმით ახსნიდა ერთსა და იმავეს, ჩამოარიგებდა დიაგნოზებს, გასამნევებელ რჩევა-დარიგებასაც არ დაიცემულდა. მისი მისუსტებული, ავადმყოფური ხმა სათითად მიეფონებოდა სწორულთ, მერე სხვებიც აპუკებოდნენ ამ ხმას და ლაპარაკით დათრუნავლენ ეჭვს, პურსავით გაღიტენენ იმედს.

„საოცარია, — ენას ასვენებენ“.

ჭერს მიბეჭინილი ფანჯრებს მიღმა, წაწვეტილ კლდეს შემდგარ ცაზე გაღლესილი ღრუბლის მოყვითალო ნაგლეჯების დაკავშირება სცადა გონებით, რათა რაიმესათვის მიემსგავსებინა. მერე დაიღლა ას წელგამართული ჯდომით, უხმაუროდ მაჩინა სკამი კედლი-საკენ, ხელები გულზე დაკრიფთა, ზურგი და თავი კედელს მიაყრდნო, ისე დაუწყო შეკავშირება ღრუბლებს.

თეთრი პალატის დიდი, ბრიალა ფანჯრები კაცის თვალში სულ მეტად ამხელდა ავადმყოფობას, ქალების სხეულში ჩაბორებულს, თითქოსდა თავისებური სუნ და გემო რომ დაჰკრავდა და თვითეულს საკუთარ ჭერად უხდიდა თავისივე ფიქრს. უშეველებელ წერტილს წაგავდა ითახ. ავადმყოფი ცოლის სუნთქვას დააყურადა.

— გააღვიძეთ, რა უშავს, ისედაც სულ სინაცს! — კუთხის საწოლიდან თავი წამოჰკო თმაგაშლილმა ქალმა,

ლალი გამდიდა
გოლო დღი

გადმოიზნება, მაწენის ქილა გამოიღო დაბალი ტუმბოდან.

უნიათოდ გაიღმა კაცმა, ხელები ჩამოიღო, უხერხულად დაილაგა კალთაზე. — დააცემადა: გაუიორებული, გალული სახე, შეთხელებული ტუჩები, თვალის ჭრილებთან მოშემუშენილი კანი... ნუთუ ეს იყო მისი ცოლი? ასეთი შეცველილი და გაუცხოებული, სულ მასე ესეც აღარ იქნებოდა. რა ქნას, წაიყვანოს სახლში, როგორც პროფესორმა უჩჩია, თუ ფაახენინის აქ, სანამ თუით ეს ლოგიონი არ გამოიტანს უკანასკნელ განჩენის. სახლის მოგონებაზე გვლი გაეწურა, რატომდაც მისმა ყოველმა კუთხე-კუნკულმა სასაფლაო მოაგონა. ავსმომას-წავებლად ჩაუდგა გონებას ქალის კაბებით გამოტენილი ტანსაცმლის კარადა. მერე წყლის კიბო წარმოიდგინა. დავკარჩხულებულებანი, მაზრჩენი ფორმის. სხვანაირი კიბო მის შემცნებაში არ არსებობდა. აი, დაცვევიან კაბებს, ზაბლოტავენ, ბულრაობენ კარადის კედლებზე.

უნებლიერ წასწია ხელი, ქალის მელავს შეახო. და რაკი სწრაფად მოუზიშლდა ავატრიკო, ქმრისკენ გადმობრუნებულმა ხელისგულებით გადარტკიცა თმა, სარჩების ჩამაგრებას მორჩა, ბალიშიც მოხერხებულად მოწყო თავევეშ, რაკი მას ჯერ კიდევ შეეძლო ეგრძონ, რომ ქალია და გულდაგულ შეესწორებია საბამურის საკელოზე მოყოლებული მაქმანი. შეეძლო მშვიდი, ფიქრილი მზერა მოევლო ითახისათვის და მერე ამ მზერას ოდნავ უკმაყიფლო იერი მიეღო ფანგრის ცალ მხარეზე მიჰუკეული, უფერო ფარდის ხიბლშეძენილ ნაოჭებზე წამიერი შეყონებისას და რაკი ამ მზერაში მოხერალუ ფიქრს არც ზღვარი გააჩნდა, არც რამე კონკრეტული მიზანი, რადგანაც უბრალოდ ვერ იმაღლებოდა იგი, — როგორც აღრიან გაზაფხულზე გაქურთნულ ტყეში გამოპენტილი ტყემლის თეთრი სიმარტოვე, ნიზი, სილამაზეშ შენიღბული მწუხარება — მთ-

ვარღნილი სიოსაგან მოტანილი; ამიტომ გერ ისევ გრძელდებოდა ასეტილგად შეწვეული ყოფა, ადამიანებს აუცილებლად რომ მიაჩნიათ და სიცოცხლეს უწოდებენ.

საწოლისაცენ დაიხარა კაცი, ცოლის მხარის დაუახლოვა სახე და თუმცა იცოდა, ახავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა არც კითხვას, არც პასუხს, მანც თქვა:

— როგორა ხარ?

ბუდებში ჩამძრალი თვალები ქმრის შუბლს მიაპყრო ქალმა, რაც იმას ნიშანვდა, რომ კაცს ოფლი უნდა შეეწინდა. სანამ ქმარი ამ უსიტყვით თხოვნას ასრულებდა, მოპირუაპირ საწოლზე, ნაოპერაციები ვალდებულის გვლდაგული, ენერგიული მოძრაობა დაიკირა ქალმა. ავაღმყოფი საზამოროს კანის ნაკრებს აგრძელდა თევზზე.

— შენ რა, სამსახურში არ წახველი?

ისე ღროვალად მოხდა ეს გაფირვება, ცოტა არ იყოს, დაიბნა კაცი, თუმცა ელოდა მსგავს შეკითხვას. უნდა უპასუხოს, სასმოხდილმა გონებამ დაძაბევა იწყო. მთავარია, დაარწმუნოს რომ ასე სკობს. აგრე, რახანია, აოპერაციას ერთდება ქალი, ახლა კი... რა დააბრალოს, რით გაამართლოს პროფესორის უარი. მაგრამ დუმილი ყველაფერზე სახიფათოდ და ეჭვისალმდერელად მიიჩნია. ამიტომ, ნაძალადევი მხენობით, სასწრაფოდ გამედრავნა გონებაში მოშენდარი პირველივე აზრი:

— კამე რამე?

თავისცე ხმამ დაამშვიდა. თუმცა საქმე ამით არ გათავებულიყო, მაინც არ უალოდებია ცოლის პასუხს, სწადდა, არ გაეშა საუბრის ძაფი, თვითონ უაპატრონებოდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა საგანგებო. ვიღაც მნაცველი შემოვიდა მაშინ ითახში, თავიზიანი სალამი თქვა და მოხუცი ავაღმყოფის საწოლთან ჩამოჯდა. მალევე დაირღვა შემოსულზე მიქცეული უურადღების ერთიანობა, თავიანთ თავს მიუბრუნდა ყველა. ქალმა ნელა გააცოცა ხელი,

ქმრის მაჯას მოუსვა თითები. უმშევრ
იყო ეს ხელი, ასე სრულად რომ მოჩან-
და მაშე ქორწინების რგოლი. რატომ
ეგონა კაცს, რომ მხოლოდ სიბალული
ეკავშირებდა მაშინ ცოლთან, უცნაუ-
რად გაუცხოებული გრძნობა იყო ეს
და გამოწვდილი ხელიც თითქოს სმუ-
დამ დამშეიღობებას მოაწევებდა.
ჭრინ წარმოადგა, კინაღამ დაახრიო
ყელში მოდგენილმა ცრემლმა.

— რა მოიტანე? — ტუმბოზე და-
ლებული პარკით დაინტერესდა ქალი.

ქმარმა დიდობროვანი ატამი ჰმოილო,
ჭიბის დანით დაუწყო თლა.

— ჩვენი ეზოსია! — იცნო ქალმა.

დაეთანხმა, ნელა დაუქნია თავი და
ნაძალადევად გაუღიმა. არ შეუტჩნევია
კოლს ყასიდი ღმილი, ოლონდ, რო-
გორც საერთოდ ავადმყოფს სჩევენია,
ამონიხრა, — მომზეტრდა აქაურობა, —
დაიწურუნა და გათლილი ატამი. ჩა-
ჭირია.

— წაგიყვან, თუ გინდა, სახლში იმ-
კორნალი:

— სახლში?

ქალის გაკვირვებაში სანახეცროდ
შეშეც ერთა.

— ჰო, — აჩურებულდა კაცი. საგან-
გაშო არაფერი პლოტნიდა, ოქრაცია-
არ არის აუცილებელი, პროფესორი
ველაპარავე და დაითინანმე, ჩამე ისე
თი რომ გვირდეს, კიდე ჰო...

ქალი გაჩუმდა. ექ მოსვლის დღი
დანცვე სახლში დაბრუნებას ოცნებობს
აი, თადა უძინ და...

— სახლში? — გაიმეორა ჩქმად —
ბალიშვილან წამილია, იდაყვით დაეყრ-
ლონ საწოლს, ქმრის მუხლებს დაპტე-
რდა. მას სუსტი, ძლევამოჩირდი მუხ-
ლები მორჩილად მიეტყუპებია ერთმა-
ნეთზე. ოდესლაც უთოსაგან დამჩნეუ-
ლი ზოლი მთლად გადასვლოდა ჭარ-
ვალი.

— ରୁା ୨୮୩୦ — ଜୟେଷ୍ଠ ମୀର୍ଗୀ, ଦୀପତି ଫେ

ଲୋହିଙ୍ଗ ମିଳନ ତାଙ୍କୁ, — ଏହେ କଷ୍ଟରୀତିରେ କଷ୍ଟରୀତିରେ
ଶଖବଦୀ...
ଶଖବଦୀ...

— მისმინე, — თოქოს დღი საი-
დუმლოს ახელსო, ხმა მოგუდა, კიდევ
მეტად მოიხარა, — გავიგე, შინაური
წმილებით მეურნალმას ვიღაც, ხო, ხო,
შეფეგიანადაც. — თვალი ჩაუკრა და
მეტი დამაჯერებლობისათვის გაიღმია
კიდეც. ისევ გაიმართა წელში, პალტა
შეზეერა. მთლად გაკრეფილიყენ ჭა-
ლები, მხოლოდ ერთი ავადმყოფი დარ-
ჩენილიყო, იოლად რომ მოუხვდა კაცს
გაკვრვებას და არ დააყოვნა:

— ეზოში გავიდნენ, ჰერს მაინც
გადაყლაპავენ. მეც წავალ აწი.

— პო. — დაეთანხმა კაცი, — აქ
მძღვანელი ჰარტია

— ଲୁହେ ଶ୍ଵେତିଶ୍ଵେତୀ ଶନଦା ମନମି-
ପ୍ରସବନ୍ଦ, — ଗୁଣଧର୍ମ୍ୟନ୍ଦା ସାକ୍ଷେ ଅଜ୍ଞା-
ମ୍ୟନ୍ତ୍ରେ, ବାହୀକାର୍ଯ୍ୟାଙ୍କ ଦ୍ୟାନିତରୀକା ଶାଶ୍ଵତଲୀପି-
ତାକ୍ଷେ ମିଶ୍ରନ୍ତିଲୀପି କ୍ଷାଲାତକ୍ଷାବା. — ଶ୍ଵେତି-
ନ୍ଦିନ୍ ଏବାଲି ପ୍ରେତୀଶ୍ଵରି ପ୍ରେତି ପ୍ରେତିରାତ ଦା-
ଶବ୍ଦକାରୀଧୂଳି ଚିନ୍ତିବା, ଗ୍ରନ୍ଥରେଣାଲୀ!..

— ମିଶ୍ରିବା? — ମାରତଳା ଫଣିନ୍ଦ୍ରେଖୀ-
ଲା ପାତ୍ର.

— არა, გოგო, მაჟრამ ისეთი ეშმაკია, რომ არ ვიცი.

გაულიმა, ღიმილით ჩამოიხსნა ლა-
პარაკის იშტაზე მოსული, ცოლს მიუ-
ბრუნდა:

საწოლზე წამოჩდარმა ავადმყოფება კი, ცოლ-ქმრის საუბრის მოსმენისას, ქამრის გაკვანძვა გაატანურა, მერე ცნობისმყვარეობაში სხლია და გაკვირვებით, თითქოს თავზარდაშეცემის რამ გაიგო, იკითხა: ტანსაცმელი რადგინდა?

— მიმყავს, — აუხსნა კაცზა,
სახლში გავაგრძელებთ მკურნალობას.

— အ!.. — မိုးကြော မြဲလျှော့ပို့၊ ၇ဗ္ဗာ
ဒိုက်လွှော ဒြောခံ ပုံစံပါ လာတနိုင်၊ လာမ-
လျော်နှော်မျှ မိုးမိုး ဂာလှာအိုး စာဒို အျိုးတ-

ମୁଦ୍ରଣ ପରିକାଳୀନ
ବିଷୟ ପତ୍ର



იქით: — მე კი, უპტერაციონდ ფეხს არ გავაღდები აქედან, ძლივს გადაწყვეტე და... მერე ხალათების ულილ ბორტები ნერვულად მოქანა, მჭიდროდ მოიკვალთა ტანჩე, მოკრძალებული სიფრთხილით წავიდა კარისაკენ, ასე მიცვალებულის ცხედრის გარსშემოვლისას დაღიან ადამიანები, ისინი რატომ-დაც უფრთხისან ამ ღრის საკუთარ ფეხის ხმას, ანდა, რცხვენიათ, ეგებ იმ უზმელი ფიქრისა და განცდის, რასაც გარდაცვლილის სიახლოვეს გრძნობენ.

— ხედავ?! — უთხრა ქალმა ქმარს, როცა მარტონი დარჩენენ, — რა არის გაჭირვება, ქვად აქცევს ადამიანს.

— მაგისტერის ალბათ აუცილებელია. ახლა მეტი დამაჯერებლობა იყო მის ხმაში, თვითონვე ეუცხოვა ეს ნიღაბი, შესაძლოა, წამშივე ისევ რომ ჩამოხსნოდა. ამიტომ, ასე მოამთავრა ყველა-ფეხი:

— რომელი კაბა მოგიტანო?

მაგრამ მის გონებას ახლოსაც არ გაჰქარებია ცოლის პასუხი, თვალმა აღიქვა მხოლოდ, რა გულდასმით აუხსნა მან მოსატანი კაბის ფერი თუ მოდა. მერე ისე ჩაიარა საავადმყოფოს გამაბეჭრებელი კიბები, ხეივნიანი ეზო, ისე გავიდა ქუჩაში, თითქო თვითონ კი არა, ვიღიცის ლანდი მოძრაობდა მის მაგიერ. მალე ეს ლანდიც შეერწყა ქუჩის ორმტრიალს, მანქანებისა და ადამიანთა ნაკადებს. დარჩა მხოლოდ აზრი, ურჩად რომ დაუსხელტა ქუჩის რიტმს, გამოცალკევდა და მძიმე ბანგივით, ზანტად ჩაწვა გონებაში საღმოზე ფიქრი. საღამოზე, როცა შინ მიიყვანდა ცოლს კი არა, მის ნასახარს და ამაღამილან მათ სახლში გაათენებდა და დააღმებდა სივალილი. ყველაფერი გადაწყვეოდა შიშად და ლოდინად, სანამ თვით ლოდინიც არ დასრულდებოდა.

და აյრ, კარგახანია დასრულდა ყველაფერი, ასე სწამდა მეაგთიაქებს. ახლა კი, რა დაემართა, ქუჩაში მარტოზმარტო მიმავალი შევისის კაცობაში შესულმა ნაბიჯებმა რად შეანჭრია. იაზრა, — ამის შემდეგაც რაღაც სხვა იწ-

ყებოდა, რომ ეს დროც უშეულოდა მოდა მერმისს. არაფერი არ ზრდებოდა განსაკუთრებული, ამა რად სწადდა ხმა-მაღლა, ყველის გასავონად ეყვირა: ჩე-მი ბიჭი კაცია უკვე! კაცია!

ისე გულგრილად ეძინა ქალაქს, რეინიგზის საღურიდან გარკვევით ის-მოდა დიქტორის ხმა.

ბიჭი კი დაფერებულად მისღევდა მოფორჩელე მგზავრს. „აბა, რას მო-ხერხებს!“ მაშინვე ტელეფონში დარეკა და მეაგთიაქე კარში შებარუნდა.

ორიოდე ნაბიჯი აშორებდა ჭუნოს კაცისაგან, ერთაშემაც რომ შედგა, მდევ-რისენ გაშვერილი ხელები ჩამოყარა, მტყუანი, ატირებული ბავშვიერთ გა-ხევდა. ქანდაკებასავით იდგა უცნობი. მოლოდინის ნატამალსაც არ უმართ-ლებდა ჭუნოს მისი კუშტად შეკრულ-ბაგები, თანაგრძნობის არავითარი სურეილი არ ჩანდა სინათლეშართმეუ-ლი უცხო კაცის პოზაში. მოეჩენა, ეს კაცი მთელი სხეულით იყურებოდა თითქოს. უხილავი, ჩაბნელებული თვა-ლებით ქვენდა დატარული ტანი და ამ უხილავი წარმოგვენამ მსწრაფლ დაა-ცარიელა სამყარო, ცასა და მიწას შეუ-მარტოდმარტო შეატოვა პავშეი ბრძანა, მერე მეწაც იძრა, ამოტრიალუა, აის-ლიტა ქვეყანაზე დარჩენილი ორად თრი ადამიანი და ინერციამ უჩევეულ სი-მსუბუქე მიანიჭა სხეულს. მაგრამ უც-ნობის ხმა ისევ მოუბრუნა ჭუნო რეა-ლობას.

— ვინ ხარ? — იყითხა კაცმა.

სიმეკრე დაინახა ბიჭმა ამ ხმაში, საბოლოოდ გაუქრა ჭერ ისევ იმედად მშეუტავი სითამაზე, აქემდე რომ დაგე-რებულად მოიყოლია. სინანულმა დაუ-ლორ ბატქ გული, სინანულმა და ცოტა-ოდენმა შიშმაც. რადგან კაცი საჩეუბ-რად შემხატებულს ჰგავდა. ისე დაძაბა სხეული, თითქოს ეს-ესა ისხლეტდა და ნაფირივით დაცხერებოდა მშევარს.

— მე ჭუნო ვარ, — თქვა ბიჭმა და იგრძნო მისმა ხმამ აღნავ შეაჩბილა კა-ცის სიყერცე. გაბედა თქვა აზრი, აქეთ მომავალმა, მთელი გზა რომ აკორწი-

ბულნი და სულაც არ ჭირდებათ თვალებზე ერთმანეთის დასახახად.

— ვიცი როგორი სახცე გაქვს, მეზღვაურს ჩამოჰგავხარ ოდნავ, — ამბობს ენდი და თითებით ფრთხილად უსინჯას ყერიმალებს, ცხვირს, ქვედა, შესქელებულ ტუჩს. რატომლაც თვალებს ტოვებს.

— შენ რა, გინახავს მეზღვაური? როგორი, როგორი ეჭვიანი კოთხვა.

უარის ნიშნად თავს გააქნევს ქალი და იგი ხედება ქალის უარს, იმასაც, როგორ უკვირს ენდის ეს აღმოჩენა. დაუჭერებელია, მარგამ ხომ მართლაც არასდროს უნახავს მას მეზღვაური. ბრძებს კარგად ესმით ერთმანეთის, მალე ქრება ყოველგვარი ეჭვი, ენდი კი ამბობს: ჩვენ ხომ ყველაფრით ვხედავთ — გონებით, სმენით, ხელებით, იცი? სინათლე ალბათ არ იკარგება, აღამიანს სხეულში ელვრება სინათლე. მერე, მდუმრედ სხედან ერთმანეთის სიტყვის მომლოდინენი, მთელ სხეულზე აწყდებათ ბალის გადაღმა, მთავარი ქუჩიდან ავარდნილი გუგუნი, წამის რაღაც გაელვებაში ნამდვილად უმაღლიან ბედს, რომ ვერ დაინახავენ თუნდაც მცირედ საგანს გარეშემო, საყაროს ყოველგვარი მტცერი მათთვის ისევე შეუცნობელი და შორეული დარჩება, როგორც ის პირველყოფა, რამაც შემზევ, ღრუის დახმარებით მოძრება მათი სხეულები, სიცოცხლე უწილადა, და რაც ისეთი განენებული და დამოუკიდებელი იყო ახლა ყველაფრისაგან, ისე უცნაურად მიმატებული უსასრულობას, რომ მათ ნამდვილად სკეროდათ — იმ უცნობ სინათლეს ინახავდა ეს სხეულები, თავისი მღვრიერი წიალიდან გარეთ, პო, გარეთ აშუქებდა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს სინათლეც რას წარმოადგენდა? იქნებ მხოლოდ იმის შეგრძებას, თუ რა ინტერესით დაათვალიერა სკამზე მსხდომი ბალიდან ფეხათრევით გამომავალმა უცნობმა. მაგრამ, ხომ იგრძნეს ეს მზე-რა, ეს ინტერესი და ისიც, — კაცი რომ იყო უცნობი და ზანტაც მიაბო-

ტებდა მოღანტული. მაში, რაღოს კომუნიკაცია თვალის ნათელი ეგებ რწმენას იძინა, რომ ამ სკამზაც ხომ შეიძლება იგრძნოს, რარივ უყვარს ერთმანეთი უსინათლო კაცას და ქალს. თვითეულს არასდროს უნახავს მეორის სახე, არ ალქემის თმისა და თვალის ფერი, მაგრამ გრძნობენ ისინი... ვრძნობენ. უხარით, ხალზე უხარით, ასე კარგად რომ იცნობენ ერთმანეთს.

... მაგრამ, საჯდაა ის ნეტარი თავდაჯერება... სწრაფად ჩააღლვა გონებას წარსული. ესეც აწმყო: ოლარ თავდება ნეტარი ეკლელი, მაინც რა ხელმა შესძლო ამიღენა მიწის გათხრა. მოეჩვენა: თვითონ კი არ მიღიოდა წინ, არამედ კი დალი. მის ხელისგულზე ბლაგვად გარზამავალი ეკლელი გარბოდა უკან და ეს ფიზიკური შეგრძებება იყო ახლა ერთადერთ მაკავშირებელი მთელ სამყაროსათან, ქუჩასთან, ყველა ნაცნობთან, უცნობთა ფეხის ხმებთან, იმ თავდასაცავ აზრთან, საშეველად რომ შეეფარა ამ გაყურსული ღმების ბრელ კალთას, დატუმსული ბავშვივთ გაბურული, თავისაც თავს უგანყდებოდა, საკუთარ უძლურებას სციდა, მაგრამ მყარად ამზადება უსამართლობასთან შესარიგებელ ფრაზას: მე მიყვარს! მიყვარს!

აქ გათავდა კედელიც. აგორავებულ მიწაყრილს მიწყდა უსინათლო, მუხლებით მიებგინა დაფერხუბულ საყრდენს, ხელები ზემოთ აკოცა და მთელი ტანით გადაწყვა. წამიერი მისვენებისას სხეულმა იგრძნო, სულ იოლად მოშლებოდა მიწა. ამიტომ ხელ-ფეხს რაც შეიძლება სიღრმეში აფლობდა, ჩქარ-ჩქარა ინაცვლებდა მოსაჭიდებელ აღვილებს, რათა მორტეულ ნაყარს უკანვე არ ჩაეცურებინა. თხრილის თავზე მოკცეულს ცხვირ-პირი მიწით გავსებოდა, სწრაფად გამოაფურთხა და მაშინვე მიწის გემომ გამოუშატა პირი. საშინელი გემო პქონდა მიწას. დაიჭყანა, გბილები ერთიმეორეს, დააჭირა ზიზლით, შიგ ჩარჩენილმა ნატევენის ღრუშიალში კისრის ძარღვები ჩაუსერა.

ცივი ურიალი მოაწეა ყვრიმალებთან, ცრემლმა ამოუცირთავა შიგანი, გაბოროტებულმა, ანგარიშმიუცემლად დაიწყო მიწის ღვევეა. ეს იმ გრძნობას ჰვაფდა, როცა ქუჩაშე, ადამიანთა მბრუნავ მორევში მოხველრილი, წინგა-შვლილი ხელებით ცდილობდა განაპირებას. ქუჩა მისთვის წარმოადგენდა ადგილს, სადაც მუდამ უნდა ეძებნა კედლები, ანდა აგორაზოობით მოგადოებულ გადასასვლელზე შემდგარს გაწვრთნილი სმენით დაუყურადებინა ტრანსპორტის მოძრაობისათვის და მოთმინებით აეტანა ვინ-მე ტლუ მძღოლის ჟანრდავა, რომელსაც წარმოადგენაც არა აქვს, რომ ბრძები სასეირნოდ არ დაფიან, რომ ისინი გარკვეული ადგილიდან იმისათვის იძერიან, რათა გამიზნულ ადგილს მაღლიონ და დროის ამ მნიშვნელოვანი, ვიზრე სავალს გალევენ, მათთვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი და სახითაო რამ, ვიზრე ეს გზა — ადამიანებით გავსილი, ათახთახებული.

მერე კი, თხრილს რაკი თავი დააღ-წია, ორიენტაციადაკარგული უაზროდ დაადგა საკალს. დაცარიელებულ ქუჩას გამჭრალ ფეხისხმებთან ერთად მიეჩქმალა თავისი სახე. სხეულმა დაიბრუნა გრძნობელობა. ნაბეგვი სხეულით აღი-ქვემდა უსინათლო მიწის ყოველ მტკაველს, სადღაც, შორს სივრცეში გახე-ვებულ შენობებს, ამ ბიჭის სუნთქვა-საც კი. რა უნდა, რატომ თავს არ და-ნებებს ეს ღლაპი? სახე წამოენთო კაბს, ქვედა ყბა ბრაზმა აუცაცეას. ბიჭი კი მაინც დგას და უცექრს. ისევ წავა თავის გზით, აბა, გაბედოს ლაწი-რაქა, გაბედოს ოლონდ, გაპევეს და ნახავს მერე სეირს... კვლავ ხელისცე-ცებით განაგრძო სვლა, გამახვილებულ სმენას მაშინვე ბიჭის ნაბიჯიც დაეწია. მღუმარედ აღვენებული ბიჭი ფიქრს კინძავდა: ეთხოვ, წამოვიდეს ჩვენთან, ჩაიზე დავცატიქებთ, შეგვიძლია გრძელ სკამზე დავაძინოთ, ჩემ ძეველ პალტოს ჭავაფარებ, დარწმუნდება, რომ მამა ძალზე კეთილია, აუცილებლად მოგვი-

შინაურდება. ნეტავი სად ცხოვრობს, ან როგორი სახლი აქვს? იქნებ სულაც არა აქვს სახლი. მე ჩემს თავგადასავალს მოუყვები. (ბიჭი უცხო კაცისათვის მოსაყოლი თავგადასავლების მოძევას ლამიბდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და პირელად აღმოაჩინა: — თურმე არ ჰქონია თავგადასავალი). არა, უმჯობე-სია სხვაგარად გავართო. სუ მაგალი-თაღ: დავუხატავ რამეს. მაგრამ მაინც რას? მამაჩემის ხელებს. ნეტავი თვი-თონ თუ იცის მამისის ხელების ხატ-ვა?

ფიქრმა, ის-ის იყო, თითქოს გადა-ვიწყა ბიჭის მასასა და უცნობს შორის მყარად ჩამდგარი, უხილავი ჯებირი, რომ სუკან მოტრიალებულმა კაცმა მთე-ლი ხმით იღრიალა:

— მომწყდი თავიდან, თორემ გაგ-ხეთქამ ცემით! მომცილდი! შე ლაშირა-კო!

შეფრთხა, მოულოდნელობამ დაა-ბნია ბიჭი და მაშინ უსიამო წინაგრძნო-ბით გაუცხოვებულმა, ბავშვისათვის უჩ-ველოდ ბოლოგარეულმა ეჭვიანშია ხმამ გამომწვევად იკითხა:

— ეს გახეთქამ შენ?

— ნახავ ვისც.. ახლავე თუ არ წაეთრევი აქედა!

ახლა კი... დაავიწყდა ბიჭის აქ მო-სელის მიზანი, აფთიაქში დატოვებული მამა, ისიც — პატარა რომ იყო, და ძა-ლიან მოუნდა უცხო კაცთან პირისირ შებმა, როგორც სურს, ისე რომ აცემი-ნა ეს უმაღლრი... მაგრამ როგორ? და-დებთან არასოდეს უჩხუბინა. ქვას ხომ არ დაარტყამს. ქვის სროლა გიუების საქმეა. ამიტომ:

— შენ თვითონ წაეთრი აქედან. — შეეპასუხა გაგულისებული, — რას და-ბორიალობ ამ თხრილებში. ხო, ხო, თუ სიკეთე არ გსურს, გადავარდი და მო-ტეხე კისერი.

მხედვდა, მის სიბრმავეს გულისხმობ-და ბიჭი. მით უმეტეს, თუ იცის ბრმაა, რას ერჩის, რად არ დაეხსნება. ერთი

ლალი გრევადა
გოლო დად

ჟელში მოაფიქრობინა, გასრისაც მავ უზენად დღის. გასრისაცხა! რა უნდათ, გაუ-შვან თავის გზით, ვის რას უშავებს, ვი-სია ეს ცოდვის შვალი, პატრონი არ უავს?

— მომცილდი, შე უპატრონო! —
ასევე უფარია კაცმა.

— მე უპატრონო არა ვინ. შენ კა,
თუ კეუით არ მოიქცევი, დავუძახებ
ჩემს პატრონს და ნახავ რაც მოგივა.

— ჰეუპნები, შემომაკვდები, ბავშვო, შემიამცვედები!

გიდრე ალი-კვალ შეშლილი ბიჭი პა-
სუხს ახანგებდა, ჯერაც შორიდან ჩენილ
ავტომანქანის ქროლვაში მოზეიმე შუქ-
ფრუნების მრადვილობა სრიალით გადა-
უჩა ქუჩას, გადაანათა ბნელით დაფე-
რილი, კიდე-კიდე მიყორილი დამბები,
გზისირი, რიყის ქვითა და საგანგებოდ
მოზიღული მსხვილი მიღებით დაჭორ-
ვილი. მიყმენდილმა შუქმა მსწრაფლ
გაანაძოა ბინდი, ამოდოშნა სივრცე
მობარგანავე უსინათლოს ირგვლივ,
მთვარის ბაკმივით შემთადგა დაჭინე-
რულებივით გაღინიშნებულ, ერთმა-
ნეთის მტრულადეცეულ კაცა და
ბავშვის, მერე უცებვე, მათრახივით მო-
იქნია კუდი სინათლის ჭავლმა და როცა
ასევე დაშირიბინდდა, დაიძირა ქუჩა,
ჭუნოს წარმოსახვამ განმეორებით ამო-
ტვიფრა ლელეხი ბინდიდან მეხსიერე-
ბით დაუნეცებული, ის-ისაა ხილული, —
კაცის გამტერებულ თვალებში ჩამჭე-
ული მტრული სიცოცე, რასთანაც ველა-
რაფერი შეარიგებდა. მოხდა ის, რაზე-
დაც არ უფიქრია ბიჭის, ამიტომაც ძალ-
შე გამაინიშნებელი იყო კაცის ქცევა.
ისინა ახლა მტრები იყვნენ, ნამდევილი
მტრები. ჭუნოს არაფრის გამოსწორება
აღარ შეეძლო. პოდა, უკეთურად ჩაი-
ცინა ბაჭმა, აბასტად მიეჭრა კაცს, მო-
რუშებულ სახეში შეაფურთხა. ეს იყო
მისი პროტესტი, მეტის არაფრის გაკე-
თება არ შეეძლო. ხოლო როცა უსინათ-
ლო დაიხარა, ხელისფათურით მოსინ-
ჭა ღორღი, ადგილზე პრუნეთ, თავისი-
ვე ირგვლივ ხელისფულით მობეკნა მი-
წა, ბიჭი მიხვდა, რომ იჭი ქცას ეძებდა

ასე გულადაგულ. მოიხელთა, მარგრენვა-
კიდეც, ცალ ყელაცზე მკერდთან აიზრ-
ხლა, მერე წამიმართა, გალურსა, თი-
თქოს სახუნდართან ნაღისს უსაფრდე-
ბაო, მაგრამ, რავი ბიჭი გახევებულ,
მეისე სიჩუმეს შერწყმოდა, აზრი არ
ჰქონდა სროლას.

ცხადი იყო კუნისათვის, რასაც
უპირებდა ეს გულმრუდი კაცი. გაეგავ-
და, უცნაურმა გაოცებამ შეიძყრო ბიჭი.
მალე გაოცებაც გაქრა და მან უბრა-
ლოდ, უმური მასწავლებლის მიერ
დღიურში ჩაწერილი ორიანით გამო-
წვეულ უსიამით განცდასავით აღიქვა ეს
მოულოდნელი, უცხო მტრობა. მერე,
სწორედ იმგვარად, როცა ერთი სული
ჰქონდა, მთელი კლასის შესახედად და-
სკუანვოდა მასწავლებლის ზურგს, წარ-
მოედგინა ღლიურს დაშტერებული მა-
მის შეშუროთებული სახე და გული
იმითთა მოეხებინა, რომ ეს ხომ მაინც
შესძლო, — კყანვით მიეზონ სამაგი-
რო ადამიანისთვის, ვინც არადა არ
აპატია სიზარმაცე. პო, მსგავსი განცდა
იყო ახლაც. მხოლოდ იმ ვანსხავებით,
რომ თავდაგერებულ, მტრიცე უპირატე-
სობას გრძნობდა უსინათლოზე. არ გაი-
ნდრევა სულაც, თუ ბიჭია, დაუმიზნოს.
ლახტობანას თამაშის უინი მოეძალა.
ვერა, ვერ უნდა მოარტყან.

— სად ხარ, შე ძალლის გაგდებუ-
ლო! — ავედოთად ვასკრა კაცმა კბი-
ლებში.

ამას ელოდა, მეტი არც არაფერი
უნდოდა ჭუნოს. ახლა საბოლოოდ გა-
დაწყვიტა, არ ეტყოდა კაცს უკან ადევ-
ნების მიზეზს. ეტყოდა კი არადა, მოე-
ჩენენა, თითქოს არც არსებობდა ეს მი-
ზეზი. შერისძიება! პირველად ეზიარა
თავის სიცოცხლეში ამ განცდას ბიჭი.
ეს ღამე თითქოს მისი ალსრულებისა-
თვის იდგა, მაგრამ, როგორ? რა გზით?
არც ქონდა ამაზე ფიქრის დრო, ისე
სწრაფი იყო კაცის სიავით გამოწვეუ-
ლი რეაქცია.

— კუკუ! — ჩიუმად, შეკაეგებულად
გაეგმიანა ჭუნო და სანამ კაცი მის სამ-
ყოფელს ალიქვამდეს, სანამ ქვას მოა-

წევდა, ბიჭი მარჯვე ნახტომით მოინაცვლა აღგილი. ორი სროლა მოჰკვდა ერთმანეთს. გაავებული, დაუნირპესი ხელი კაცის გარდაუვალ სურვილს ასრულებდა. „არ მხოგავს..“ ჯუნი მხოლოდ ახლა შეხედა სინაშეუილეს რეალური თვალით, კონკრეტულ იქრაა და ფრიმას რომ ანიჭებდა იმ უცნობ შურისიებას და არაუერს აღარ შეეძლო მისი შეცვლა. ისევ გაეხმანა ბიჭი სიჩუმეში გამჭერილ მოლოდინს კაცისას. ახლა ისე დაცუნებით, შეცვლილი ტონით იყო ნათევამი — „ეუკუ“, რომ თვით ბიჭაც გაუკვირდა, საიდან მოვიდა ამდენი ირონია. წინანდელზე სწრაფად მოხდა სროლა, მაგრამ ისევ აიცდინა ბიჭმა. მიაგნო, მიაგნო იმ უცნობ გზას, გიუს დაამგანა კაცი, საკუთარ უძლურებით აბრლდებულ გიუს, ბიჭის ხმას გამოწვენებულ ქვას ლამისა თვითონაც რომ გადმოყოლოდა. ჯუნის რამდენიმე ნახტომში გამოიუთავდა კაცს ქეები და ამთავ გამორიცებული, ქველაც ქეელ უსუსურობას რომ შერჩა, იქვე შორიახლოუან, წუთისოთვის რისხვად იშილადა ბიჭის სიცილია უგუნური, ხერკე ნაბიჭვრის ზეიმი, ალბოთ უტიტრად რომ უთვალთვალებდა სიბრძანეში ჩასახლებულ სიცოცხლეს, რისი არსებობის უფლებაც მოპოვებული. განტეტკებული იყო. სწორედ ამ უფლებებს თუ დასკინოდნენ ახლა, აბუჩად იგდებდნენ და უკვირდათ, როგორ მოვიდა უკვლაუერი აქამდე. რით შეინახა თავი ამ ბუტაფორიულმა კაცმა. მართლაც ბუტაფორიად მოჩერენა მთელი თავისი ყოფა უსინათლოს: დამის, სიცოცხლის, მთელი სამყაროს არსებობის უაზრობა ლანდად კანკალებდა ბიჭის ცინიკურ ქირქილში, საშიშ, შეუგუებელ ლანდა, უფრო შეტეც, — გაცილებით ულმობელ და მსახერალ გარდუვალობად, კიდრე იყო უკერავერი, რაც იმ ერთ ღმენში ბედმა უწილადა კაცს. იყვირა, მთელი ძალით იყვირა უსინათლომ, ხელები წაიშინა თავ-პირში, სახეაცყრბილმა, უაზრობ დაიწყო ერთ ადგილს ბრუნვა, მერე ერთ-

ბაშად მოსწოდებულ აღგილი, თლილიმოდებულ გარაბანცალბა, ქუჩის განვარდუ მოძრულწ, ისეთი მიმართულება აიღო, უცილებლად ვიწრო, ქვით მოკენცალ აღმართს მოებმებოდა. უჩუმჩად უყურებდა ბიჭი. მნ იცოდა ეს გზა. გრძელი აღმართი კოპიტის ხეებთან თავდებოდა, მერე მკვეთრ დაქანებას ხევისაც კუნ და ქალაქში შემოსასელელ უართო შარაგზამდე მიქვინდა სავალი. „ნეტვ სად მიდის ის შარა? — დაინტერესდა ბიჭი. ახლა მაინც რომ დაუახახოს, მთაბრუნოს, აუხსნას მისი შეცვლმა და დაავლიანოს? მაგრამ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა ბიჭი, სულ ახლოდან, შეებასავით ეწვია თავისი სახელი, — მამა ეძახდა. გათავდა! — დაუძერა ორჭოფულ ფიქრს, მსწრაფლ გამოწრუნდა უკან, მამისკენ, ერთადგრძო გამართლებისკენ. ხოლო როცა მამა გავიკირებით წარმოსტვა — ჯუნი.. შეიღს თმაზე მოუფათურა ხელი, მერე ის იყო, ბიჭს მოეჩვენა, თითქოს რაღაც უნდა ეკითხა მამას, ძალა აღარ ეყო ჯუნის, სიტყვის წარტქმის უნარი წაერთვა თთქოს, მხედველობაშ უსამოდ გაფშვნა მამის მკრთალი სილუეტი, — მანინგი, მოკანკალე კონტურებით ჩარჩენილი ბიჭის აცრებლებულ თვალშე და ჯუნის სწამდა — სწორად გაიგებდა მამა მის ტირილს. მართლაც არაუერა უკითხავს მეაფთიაქეს, უმძრახად მის-ჯევდა ასლოინებულ შეიღს.

მერე, ნეონის ღიმშარეცხილი შეკით ჩაყუდროებულ აფთავების უკან თანამშე იჯდა ჯუნი და იმის გამო, არაუერს რომ არ ეკითხებოდა მამა, სულ მეტად უჩეოლდებოდა გული. ასეთი უსიტყვით თანხმობით ადამიანი შეიძლება გაფილებ კიდეც. გაბრაზდა მამაზე: მამაშ კი მშვიდად თქვა:

— ნუ ტირი, შენ უკვე კაცი ხარ. კაცს არ შეშვენის ტირილი.

კი დაუჭერებს, ნამდვილად დაზერებებს მამის აზრს, ალბათ უკვე კაცია. მაგრამ ნუთუ ერთ ღამეს შეეძლო კა-



და ეჭითა ბავშვი: თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს, მაგრამ ჩაც იყო, მიხვდა, მხოლოდ მას ეხებოდა, მას და სხვას არავის. ეგებ იცოდა ეს მამამ. არა, ჯუნო სულ სხვაგვარად ფიქრობდა ახლა მამაზე. ეპვი აიტუშა მათ შორის და თავდაყირა დააყუნა ჟველაფერი. „ეგებ არც ჟველაფერი“, „ანდა“ ამ „ანდამ“ რამდენი ჩამ შეიძლება ჟეცვალოს. არა, სისულელებს ფიქრობს, რა არ მოუვა თავში გაძრაშებულ ადამიანს. ეს შეუძლებელია, მაგრამ მართლაც რომ გამართლდეს ეპვი? ერთი წუთით არ უნდა მაშინ სიცოცხლე ჯუნოს. რამ აფიქრებინა, რატომ შეეჭვდ მამის სიმხდლეში? სისულელე. ბოლოსდაბოლოს, ის კაცი ხომ ბრძან იყო. მაღლობა ღმერთს! ცდება ბიჭი, ცდება! ცდება!

მაშინ, რა ხდება, რამ გახადა ეს კაცი შეიღისადმი გულცივი. ესმის კი ჯუნოს, რა არის გულცივობა? არაფერი არ ესმის მას ახლა. თანაგრძნობა უნდა. მაგრამ რისი თანაგრძნობა უნდა ამ სულელ ბავშვს?

კიდაც კრალა კარი შემოაღო, მოსულს გაეცება შეაფთიაქე, გულის-შომწყვლელი სიცივე გაიყოლა შისმა კალთებდანენეულმა ხალათმა. გაიგონა ჯუნომ, ტელეფონზე დარეკვა რომ ითხოვა მოსულმა. ისევ შემობრუნდა მამა, ჯუნოს ფეხებთან მდგარ ელექტრონურიდან ათუხთუხებული კოლბა გადმოდგა, მერე ჩაის სამზადისს მოჰყვა. ამ ხნის განმალობაში კი, ტიხარს მიღმა თვალსმიტარებულ კაცის ხმას უსმენდა ჯუნო. წყვეტილად, გაუგებრად ლაპარაკობდა უკნობი, მოჭრილ პასუხებსა და ნახევრად გაურკვეველ კითხვებს იძლეოდა. შეწყდა ხმა, ძევე კარის ჭრიალმა დაამშვიდობა აფთიაქს ღამეული სტუმარი.

— წავიდა? — იყითხა მამამ.

ჯუნომ თვალი შეავლო, ჩევულებისამებრ, როგორ თხლად, კოხტა ნაჭრებად ჭრიდა პურს მამა, წამოდგა, ტიხარს დატანებულ გასასვლელში თავი გაჰყო, მალევე მოტრიალდა და:

— ვინ იყო მამა სი კაცი? — ინტერესით იყითხა.

ისე წარმოსქვა „მამა“. იგრძნო, ბოლიშ იხდიდა მზრუნველი მზერის; პურის კრით დაძაბული ხელების, მოღლილი მოძრაობის, მთელი ქვეყნის წინაშე. და ჯუნომ წამიერად, სანამ მეაფთიაქე პასუხს მიაგებდა, გაიფიქრა: „კიდევ კარგი, ადამიანებს ერთმანეთის განაფიქრი არ ესმით.“

— რა ვიცი, მგზავრი იქნებოდა, შუქი დაინახა და ჩვენთან შემოვიდა, — უპასუხა მამამ.

— გაიგე რას ლაპარაკობდა?

— მგონი, არც ლაპარაკობდა შვილ.

კვლავ დაჭირებული ტონი და ის გამაღინიანებელი, უნდობი გულგრილობა. ისევ აუჩილდა ბიჭს გული, როცა მამამ ჩაი დაასხა და შეილისათვის საგულდაგულოდ დაწყო დანისპირით კარაქის წამია პურის თხელ ნაჭერზე. რა თქმა უნდა, არ გაჭირვეულდება ახლა ჯუნო, თუნდაც კარები ალაგალაგ სქლად ესვას. სრულებით არ სურს ჭამა, მაგრამ მამის ხელით გამოწვდილ პურს უხმოდ ილებს. როგორ გაეს ეს ხელი ჯუნოს ნახატებს. ხელების მთელი კოლექცია აქვს სახლში, არავინ ალაგებს ნახატებით გამოტენილ უჭრებს. ისინიც არიან და არიან თავისთვის.

— პურიც მიატანე შეილო, — შეხსენა მამამ რამდენიმე ყლუბი ჩაის ნაძალადევად მოსმის შემდეგ.

ჯუნომ მორჩილად დააქნია თავი. ჟველაფერს უყოფანოდ შეასრულებს, რასაც კი მამა სთხოვს.

და უცებ, გამოუთმეველმა კმაყოფილებამ აავსო იმის გამო, არაფერი რომ არ კითხა მამამ. ახლა ისე ძნელად წარმოედგინა ჟველაფერის სწორად გადმოცემა, მიხვდა — თავის მართლება საშინლად უსიამინ განცდა იყო. პირველად იწილადა ბიჭმა ასე ცხადლივ იმ შეთანხმებული, ჩუმი კავშირით ნაბოძვარი ბედნიერება, რაც მამის წყალობით არსებობდა მათ შორის. ახლა, ეს მიმდომი, ურყევი რწმენა აუარებელს ავა-

ლებდა ბიჭს. არასოდეს აღარ იფიქრებს მამაზე ასეთ სისულელეებს, ცველა-ფერს დაუჭერებს, არ, ამ კარაქიან ჟურ-საც მთლიად შეკამს, ოღონდ, ოღონდ არაფერი შეიცვალოს.

უსმენს ახლა ჭუნო მამის დაწყე-ბულ მონოლოგს: შენ უკვე დიდი ხარ შვილო, აქამდე არც მიფიქრია ამაზე, მაგრამ, დახე. შეუმჩნევლად გაიზარდე. იქნებ აწი, დამამიმბით სახლში დარჩე-ნილიყავი? შენ ლოგინში ჩატბუნდები გემრიელად. არ მოგბეზრდა ყუთებზე წოლა? (არა, არ მოგბეზრდა, ოღონდ მა-მასთან იყოს, ოღონდ... რაჯ მოიფიქრა მამამ ეს უცნაური აზრი, რატომ უნდა, ამდენი ხნის აწყობილი ყოფა ასე უცე-რად შესცვალოს). დილით ადრე აუგო-მას შეჩევული ხარ, ისაუზმებით, სკო-ლაში წახილოდი, უკან დაბრუნებულს შინ დაგიხველებოდი, მერე სულ ერთად ვიქნებოლით. ეს მოხსენებოდა სამ დღე-ში ერთხელ. ჰპ? რას იტყოდი ჭუნო, რად არ მასუხბო? თავდაპირველად, რა ქმა უნდა, გაგიჭირებოდა, მაგრამ შეეჩერდი თანდათან. ასეა. ცველას უჭირს სიახლესთან შეეცემა, მაგრამ მერე ყველაფერი ჩვეულებრივად ეწ-ყობა. შენ აწი დამოუკიდებლად უნდა შეეცლოს ყოფნა. ხო, მართლა, ამ დღე-ბში გიყიდი იმას. რა ქვია?

— ჯინი, — უხალისოდ შეეშველა ჭუნო.

— ოღონდ არ უნდა მოიწყინო უჩე-მოდ.

ბეჭმა ზეღმეტად გამოიტენა პირი და გამწირებით დაუწყო პურს ღვევა-კი მაგრამ, რა უნდა გააეთოს მთელი საღამო სახლში მარტომ? კარს მაგრად ჩაეყრავს. ისე გავა დრო, ერთხელაც არაერთ დაუძახებს „მეაფთოსქის ბიჭს“. თანაკლასელ ემას დაურევავს და ეტყ-ვის: მე სულ მარტო ვარ სახლში, მამა სამუშაოზე. დაფიცებას მოითხოვს? არაფერსაც არ დაიფიცებს, გინდ დაუ-ჭეროს, გინდ არა. გოგო კი არ არას წამდაუწმუნ ითიცოს. თვითონ რომ სულ „დედა მომიკვდეს“ აკრია ენაზე. ცო-ტა მეტიჩარა, მაგრამ, კარგი გოგო

მაინც. ვითომ რატომ არასტრიმ ან გზავნიან მაღაზაში. ცველაფერს ეტ-ვის ტელეფონზე, რასაც მასზე ფქ-რობს, პირველ რიგში დაარწმუნებს, რომ მასზე მეტი წიგნი აქვს წაკითხუ-ლი, საინტერესო ადგილებსაც მოუკვე-ბა თუ უნდა და თუ ბევრს იმატრაბა-ზებს და მაინც კუდაბზიკობას არ მოი-შლის, პირდაპირ მახსლის, რომ სად გოგოს და სად ბიჭის ტვინი. გოგოს არასოდეს არ შეუძლია ბიჭივით კვევიანი იყოს, თუნდაც იმ ბიჭივით, ვისაც ერთი წიგნიც არ წაუკითხავს სახელმძღვანე-ლობების გარდა, იმასაც ეტყვის, რომ თერმეტი წლის გოგოს ამხელა ბანტი აღარ შეუვენის. ხო, მართლა, აკვრიუ-მის თვევებს დააპურებს, სახელებს შე-არქმევს თვითეულს და დაუკირდება, ამა, რითი განსხვავდებიან ერთიმეო-რისაგან. ფეხსაცმელებს გვაუშენდავს საცოდავ მამას, მოელი ღამე წამლების სუნში, სკამზე თვლება რომ მოუწევს. სურათებს გადაექვევს და დედის სახეს კარგად დაიხსომებს, თორემ ზოგჯერ ავიწყდება თითქოს. მერე აღმათ, კი-დევ გამოჩენდება რაიმე თავშესაქცევი.

გარდაუცალი მერმისი, რაღაც ახალ-თან შესხვედრად რომ აზადებს ჭუ-ნის, აფრთხობს, მაინც აფრთხობს, თუმც ხდება, — ესეც მისი წილცვედ-რა, მისი გადასატანი. საოცარ სილბოსა და მგრძნობრობას იძენს ბიჭის სხეუ-ლი, მარტობის სევდას თუ საკუთრი თავის გაუცხვების განუცდელი გრძნო-ბა ერევა მის სხეულს. რატომდაც ახ-სენდება ბიჭს, რამდენიმე ღლეა, რაც ფეხი არ დაუბანია. ეჩვენება, თითქოს თავის თავში ზის ისე, რომ ახლა პირ-ველად უნდა ამოვიდეს, პირველად უნ-და იძილოს ქვეყნიერება. მაგრამ, რაც აქამდე იყო? ეტყობა არაფერი ყოფი-ლა აქამდე განსაკუთრებული. უბრალო თავგდასავალიც კი არ ჰქონას. უცებ ეამა იმ უმაღლე ბრმასთან შეხვედრის გახსნება. ახლა მოდგება და დაშვრი-ლებით აღაღგენს შესიღებაში ყოველ

ლალი გრევაძე

პოლო ბეჭმა

ჭვრილმანს. რა ადგილად შეძლებულა
წარსულის განსაკა. მოეჩენა, თითქოს
ბრძა კაცი იყო მთელი იმ უსამოვნე-
ბის მაზეზი, დადარაჯებული მომავალი
რომ უქადდა. მაგრამ აღარ უნდოდა
ალარაფერზე ფიქრი, დაიდალა, ძილი
მოერია. დაიშალა ყოველგვარი აზრი,
მზერამიბიგენილ, ლუმინისცირებული
კედლის სიგლუვეში განზავდა. ერთ
სხეულად იწყეს გამოლიანება საგნებ-
მა, სინდიფივით არამდგრად, მძიმე სხე-
ულად. შეეფერება ახლა იმ მთლიანო-
ბას, მის უთავობობას მიემატება.
ძალწვეულმა თვალებმა ისევ იხილეს,
როგორ გაბორიტებით გარჩის ბრძა კა-
ცი, ქუჩის განივად მოძრული. არა, შეხ-
ვედრა უფრო ნათელი და დამამასხვ-
რებელია: ვინ ხარ?! — მეცრი, მკუ-
რი ხმა. მერე ხელი, ქვის სასროლად
მოქნეული ხელი, არასოდეს დაავიწყდე-
ბა იგი ჭუნოს. დაგორგილი, აკრილი ქუ-
ჩის მორჩევილი ნასირი თამამად ამეღა-
ვნებს ნასროლი ქვის კარზნას. ერთი-
ორი მჟახე ხმა, დანარჩენი შედარებით
თბილი, ტყაპანის მსავასი ხმიანი.

ჰო, ეს უკვე მამის ხმაა, თბილი, გა-
დამრჩენი ბუჩქნი.

— მოდი, მზადაა საწოლი, თორებ
გთვლემს შვილო. და ჭუნო ხედავს, რო-
გორ ასწორებს მამა თავის ძეველასძეველ
პალტოს ერთმანეთზე მიღმეულ ყუ-
თებზე, ცდილობს, ისე მოხერხებულად
დააფინის, რომ ბიჭი დაკონიძომა ქვე-
შეგებმა არ შეაწეროს. მრავლისმეტყ-
ველი მორჩილებაა მამის მოლლილ სა-
ხეზეც. თვალის გუგები ჩასწითლებია,
ტირილის შემდევ რომ იცის, — სწო-
რედ იმგვარად.

მაიც გულგრილი ეჩვენება ჭუნოს
მამამის და ერთი სული აქვს უთხრას:
— არ მინდა შენი ნაყიდა ჭინსი. არა-
ფერი არ მინდა. ვერა, ვერ ძრავს ენას.
შეჩვეული გარემო თუ უშლის ხელს,
სადაც იგი თვენიერი ბავშეი იყო აქა-
დე. იყო და ისევ ისეთია, მაგრამ ცო-
ტაოდენი ხინგი შეეპარა გულს, გაურკ-
ვეველმა შემთხვევებ თუ ბედისწერამ
შეანგრია ნაჩვევი სიმყუდროვე, დაა-

რდევა ერთფეროვანი. ბავშვობას უადგი-
ვა, ხვალინდელ დღეზე დაატიქო ბი-
ჭი. იცის ჯუნომ. ხვალეც ჩეულებისა-
მებრ შემოიპარება აფთიაქში დილა.
ძისისტრად შეღებილი ვიტრინა აღრინ. მგზავრებს ლანდებივით ჩატრარებს, მე-
ტრიჩარა საათი კი გაერეცება და გაერე-
ცება ღრის, სკოლისაცენ კისრისტებით
გააგდებს ბიჭის. მერე ის ქუჩა, ის ხეე-
ბი, ლიანდაგები, ურთხილად რომ უნ-
და გადაიაროს, რომ გზა შეამოკლოს
სკოლისაცენ. ძევლი ერთფეროვნება
ალბათ ვეღარ შეცელის მამის სურ-
ვილს. საოცრია: ჭუნო უმამოზ! ჭუ-
ნო სახლში მარტოდმარტო!.. მეაფთია-
ქის ბიჭი უალთაძებოდ!.. გადაწყვიტა —
სწრაფად მიწოლილყო, თორებ შესა-
ძლოა, ცრემლიც ჭასცდენოდა. ლოგინს
უნდა ეხსნა ახლა.

ქუჩიდან დაძრული, უცნაური ზმა
სულ უფრო შეეთვისა მენას. წამით
უურები ცეციტა, მამას გახდედ, იგი შვა-
ლის ნასუფრალს მისჯორმოდა, თუმცა
არ ჭამდა, ჭურის ნამცეცები მოვეროვე-
ბინა ხელისგულზე და ერთმანეთზე
ავორგალებდა. უფრო მომძლავრდა მო-
ლაშებე ტალღა. ორივემ იცოდა, რა
ხმაც იყო ეს ხმა. გავიღნენ წინა თახ-
ში, გვერდიგვერდ აეკრენენ შეულებავ
ვიტრინას, უცეცერდნენ, როგორ კისრის-
ტეცებით მოდიოდა ცეცხის ფარის და-
ღრანჯული რივები, ერთმანეთში იხლა-
რთებოდა, ქუჩა ლირიჩორილო შედაპი-
რად ამთლიანებდა უწყინარ ცხოველთა
თეთრ ზურგებს. კარგახანს გრძელდე-
ბოდა სელა, თბილ ტოლსტოურებში ჩა-
მძრალი, სახერგმომარჯვებული მე-
ცხვარები იოლად იმორჩილებდნენ სა-
საკლაოსაცენ წასხმულ ფარას. ხვასტა-
გის სხეულით დახუნძლული ქუჩა აჯა-
ლის უკანასკნელ გზად იქცა მანამ, სა-
ნამ აბურდეული ფარის პოლო ცხვარიც
არ ჩატრარა.

უხმიდ მიწვა ჭუნო მისოვის გან-
კუთვნილ საწოლზე, თვალი მილული.
გამალიზიანებლად ჩასმოდა, როგორ
ხერებდა მამა ჩაის, ნელა ღეჭდა პერს.
თითქოს ეზარებათ. მერე იგრძნო,

ფრთხილად რომ წამოიწია, რაღაცას ვადასწევდა, ხო, კოლხას, რადგან ჩხაკანი გაისმა, ეტყობოდა, გადმოღებისას ხელი დასწევა და ისევ უკან დააგდო ელექტროძეურაშე. დაჯდომაც შეაყოვნა მამამ, ჯუნისაკენ იხედება, შემისას ძალი არ დაუფრთხოს შეილს. ჯუნი კი, ზედასაფარში აქვს ისევ თავი ჩარგული, შეკითხებს რომ იწყებს:

— მამა, შეიძლება ადამიანი ცხვარმა გასრისოს?


— კალიან სურს ზუსტი, ზუსტი პასუხი, მიმოტო ინტერესით უყურებს მამას, ფინჯანზე დასასხმელად მომიჯაჭვებული მზულრიანი ხელი რატომდღაც ჰერში რომ შეაჩერა, შეყოვნდა, თითქოს მეტველი ღიმილიც გაუკრთა თვალებში. „ღმერთო, რა აზრები მოსდის ამ ბავშვს“. — გაიფიქრა მეაფთიაქემ, თდნავ აიჩეჩა მხრები, შეუბლი დაინაოჭა და მოსავებული ხმით უკასუხა:

— ვინ იცის, ზოგჯერ წვეთიც ახალი ჩობს კაცს.

და ფინჯანში რაერავით, ნელინელ-ჩაუშვა ობივარადენილი წყალი. ეს საზიარო ფინჯანია, მამა-შვილი მორიგეობით სცამენ მაში ჩას.

შეეცოდა ჯუნის მამა. კი არ უყვარდა იგი ახლა, ეცოდებოდა მხოლოდ. თუ თავისთავი ეცოდებოდა? ამდენის ველარ არკვევდა. ოღონდ გადასწევიტა, აღარაფერი ეკითხა, რადგანაც მიხვდა, ეერაფერშე ვერ მიიღებდა გარევეულ პასუხს, უფრო მეტიც, ეგებ არაეითარ პასუხს არა გააჩნდა რა საერთო ბიჭის ვანკულასთან. ეცადა, ძილისათვის მიებარებინა ეს ღამე, კიდევ რამდენიმე საათით რომ დაიტანდა ქვეყნიერებას. მაგრამ ამათდ, — დაღლილი თვალების ჭიბრშე, უფრო მეტად ფხიზლობდა კონება.

და ბიჭმა იცოდა, — ეს სიდხიზლუ რაღაცასთან ამშვიდობებდა სამუდამოდ.



მარტ 2020

ଭାଷାନ୍ତରିକା

ჩქარმა პატარებელმა სკრას ჩაუარა
და შესაცენებლად გორს მიაშურა. ვა-
გონის კართან დგას ცალ მასრზე ზურგ-
ჩანთვე მარკილებული, ქარდაკრული სა-
ხის ვაჟეცი და ხარბად გაჰყურებს მი-
ღამოს.

ნელა ილევა დღე. ის განსაკუთრებული ქართლის საღმოა, როდესაც შორეული მთები ლურჯად იძნდება, ცის დასალიერში ქულა ღრუბლები ალისფრად ღვივდება და ჩამავალი ჭიდს იზიბს სხივებში ოქროსფრად ლივლივებს უწმინდესი მტვერი, მტვერი ახლად აყვავილებული ხეხილისა, ჰერქის რომ სამოსურნელით აცხებს.

მგზავრი ჟედმიბმით აბოლებს ჩი-
ბუხს და გამჭრიახი მზერა ერთი ხედი-
დან მეორეზე გადააქვს.

რამდენი ხანია აქ არა ყოფილა, რამდენი!..

ମାତ୍ରାର୍କେବେଳି ଗାନ୍ଧୀରୂପ ତୁ ଏହା, ଯା-
ଗନ୍ଧିନ୍ଦାଙ୍କ ହିମ୍ବନ୍ତିରୁ, ଲ୍ୟାନ୍‌
ଡାଗ୍‌ବିତ ଡାକ୍‌ରୁଣିଲୋ ଶାଫ୍‌ଗୁରୀ ଗାଢ଼ୀରା,
ଶ୍ଵେତବ୍ଲଞ୍ଚ ହିମ୍ବନ୍ତିରୁଣିଲୋ ତଥା ତିତ୍ତବ୍ରିତ ଶ୍ଵେତ-
ବ୍ଲଞ୍ଚରୀ ଦା କ୍ଷାଲ୍‌ଜୀକ୍ୟେବ ମିମାର୍ଗ ଘନୀବ
ନେଇଲି ନବଦିଗିତ ଗାନ୍ଧୀରୁ, ବ୍ରାହ୍ମିର୍ଯ୍ୟ ଏବ ମିଥ୍ୟାଶ
ଜ୍ୟେଷ୍ଠ ଦ୍ୱାରାଦିଗମାତ୍ରା, ନିହାରନ୍ତରୁ, ମାତ୍ରାର୍କେବେ-
ଲିଲି ତାବାଷ୍ଟିପ୍ରେତିଲୀଳ ଶଵଳା ନେଇବେନ୍ଦ୍ର-
ଦିନରୁ, ଅକ୍ଷାମା କି ମିଥ୍ୟାଶ ଦ୍ୱାରାଶିଥିନ୍ତା, ପ୍ରା-
ବିଶିଦ୍ଧିରାମଦ୍ଵାରା ରାତରିଶେବାମଦ୍ଵାରା ମାନନ୍ତ ମିଥା,
ତୁମ୍ପା, ଦ୍ୱାରା ଲାଲିମାଲୀର କ୍ରିଷ୍ଣପି, ଲାଲିମାଲୀ

ნით გული ხომ არავის დაელევა. არავის დაელევა?! დედა!.. უცნაურია დედის გული! ცხრა მთას იქმო გადახვეწილი შვილის გასაჭირს ყველაზე აღრე დედის გული იგრძნობას, შეწუხდება, თთქმის მარტუხებს უკერენო, აფორის ქდება. მაგრამ შვილის სივცდილს ყველაზე ვგანა დედის გული იგრძნობას, იქნებ სულაც არ დაიჯეროს, ვერ იმეტებს ალბათ, ამიტომ ელის, ელის მთელი თავისი სიცოცხლე შვილის დაბრუნებას. ჰოდა, მუდამ, როდესაც შვილი დედაზე ფიქრობდა, იქვე მწვავედ გაუერლებდა — ვაი თუ ეს გული ჩემშე დარღმა გადაიყოლა, ვაი თუ დედა აღარც არისო... ამიტომ არავის აცნობა თავისი ასებობა, არ აცნობა, ეშინოდა ავგებდი პასუხი არ მიერო. იქნებ აზლაც ამიტომ აჭარანურებს გზას, უნდა ნელ ნაბიჯში დრო მოლიოს, მხნეობა დაბრუნოს. ხიდზე შეჩერდა. თვალი მტკვარის აყოლო. მღვრიყ ლიახვი ბალის პირს ჩამოლიოდა, მტკვარში ნელა იშლებოდა.

ଲୋକେ ଦ୍ୱା ମିତ୍ରପାଳଙ୍କି! ଗୀନ ଉପରେ ରାମ-
ଦ୍ରୁଣ୍ଜୀର, ଅଧର୍ମ, ପ୍ରାଦୂଷକଳିବାସ, ଯୁଗିନତ୍ଵାନ୍ତ
ହିନ୍ଦୁକ୍ଷେପଣଳୀ ଲୋକେ ଦ୍ୱା ମିତ୍ରପାଳଙ୍କି ଗା-
ମନୁଶୁଳ୍ଲ ଶ୍ଵରୀ ମନୁଷ୍ୟଙ୍କାମ. ଅଳ୍ପକ୍ଷ କଣ୍ଠ-
ଦର୍ଶମା ଗାମୁଶୁଳ୍ଲମା ଦାର୍ଢିବାକ୍ଷେତ୍ର ଗାମୁଶୁଳ୍ଲଗ୍ରା,
ଦିଲ୍ଲିକୁ ଗାମୁଶ୍ଵର. ନେତ୍ର ଦ୍ୱା ଅଶ୍ଚିନ୍ତ୍ୟାନି କ୍ଷେ-
ରମ, ଅରଥାତ୍କେଣିଲୋ, କମଳିକେ ନେନବୀ. ମର୍ଦ୍ଦି-

ვალგზის ბრძოლებსა და შრომაში გაყა-
უბულ პაპას რომ ამსაგვეხდა. უჩჩეუ-
ლებივით ჩაგრეხილი ვეება ფესვები,
მიწა რომ გაუხერხვათ, მშეგულად ამო-
სულან. კიდეში ირ დიდ ჭადარს შორის
აწევრილი ალვის ხე დალანდა. პირზე
ღიმილი გადაეკრა, ნაბიჯს აუქეარა და
ახლოს მისულმა გულლაგულ შეათვა-
ლიერა. მისი კენწერონ ასწლოვან ჭაღ-
რებს ასცილებოდა, თავი გამოეხსნა
ორი ბუმბერაზის არტახებილან. ალბათ
უფრო მეტი მშე თუ წყუროდა ალ-
ვას, მეტი ჰაერი, მეტი სივრცე. მგზავრ-
მა ხელები ისე მაგრა ჩასჭიდა ხის ტანს,
თითქოს ლონეში ექიმებაო. ალვის ხე
შეირხა, ფოთლები ააშრიალ, შრიალი
სხვა ხის ფოთლებს გადაედო და მოელ-
მა ტყებ ენა ამოიდგა. მგზავრს ესმის
ალვის ხის, ასწლოვანი ხეების ღულუ-
ნი, მათ ლიახვიც აპყვა, ყველა ერთად
ახმიანდა, ალაპრაკდა: — გახსოვს შენ
და ძმასავით თანშეზრდილი სიკო, პაპას
ვენახის გასხვლაში ეხმარებოდით,
ლერწის აგროვებდით და პატარა კონე-
ბად ჟერგვდით, აბა სასხლივს ვინ გაგა-
კარებდათ ათოოდე წლის ბალებში! შენ
ფეთანს გეძახდა პაპა, სიკოს — ონა-
ვარს. ვენახის ჩრდილოეთის მხრიდან
ალვის ხეების სამწყება მწერევი ჩაუ-
დიოდა, ქარისგან იფარავდა, ნელი სიო
კი ახარებდა ვახს. პო და, აუტყდით პა-
პას, ნერგი ამოეთხარა. წამოიდეთ და
თ აქ დარგეთ. ბანაობის შემდეგ აქ
ვიყვარებთ ამ ორ დიდი ჭადრის ქვეშ
დაკორძილ ფესვებზე ჩამოჯდომა...

„პო, ვეიყვარდა, — ახლა უკვე
მგზავრის გულისხმაც აპყვა ფოთლების
შრიალს, ლიახვის ღულუნს — მახსოვს,
როგორ ვუვლიდით, როგორ ვეუშურე-
ბოდა ამის ტანის აყრა, მტკავლით ვზო-
